№ 16
(11 984)

3 – 6 მარტი, 2006 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo



გუშინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 16 წლის ელენე გედევანიშვილს შეხვდა და პირადად მიულოცა ტურინის ოლიმპიადაზე ფიგურულ ციგურაობაში შთამბეჭდავი გამოსვლა.

# მილოცვები

## ძვირფასო დედებო!

3 მარტი დედის დღეა. პატივი მაქვს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და პირადად ჩემი სახელით, ეს დღე მივულოცო საქართველოში, სპორტის სფეროში მოღვაწე ყველა დედას - სპორტსმენებს, ვეტერან სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ქართული სპორტის მუშაკებს, გულშემატკივრებს.

თქვენ, ძვირფასო ქალბატონებო, ორმაგი მისია გაკისრიათ და დაფასებასაც შესაფერისად იმსახურებთ – ფაქტობრივად, ორ ოჯახს დიასახლისობთ – საკუთარს და სპორტულს. დიდი მადლობა თქვენ ქართულ სპორტში გაწეული პატრიოტული სამსახურისთვის.

ეჭვიც არ არის, კვლავაც ყველაფერს გააკეთებთ ქართული სპორტის საკეთილდღეოდ და სადიდებლად.

დავით ნამგალაური,

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე.

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დედის დღეს ულოცავს ყველა ოლიმპიელ ქალბატონს, სპეციალისტებს, სპორტული ფედერაციების მუშაკებს, სეოკ-ის წევრებს და თანამშრომლებს, ქართული სპორტის ქომაგებს.

* * *

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის რექტორატი და პირადად რექტორის მოვალეობის შემსრულებელი დურმიშხან ჩიტაშვილი დედის დღეს ულოცავენ ამავე აკადემიის ყველა ქალბატონს — სტუდენტს, ბაკლავრებს, მაგისტრანტებს, კათედრების თანამშრომლებს, ლექტორებს, აკადემიის სხვა მუშაკებს, უსურვებენ მათ კეთილდღეობასა და ბედნიერებას, როგორც ოჯახის, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

* * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დედის დღეს ულოცავს ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ მოღვაწე და სპორტის ამ სახეობის გულშემატკივარ ყველა ქალბატონს.

* * *

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის ვეტერან მუშაკს, ათეული წლების მანძილზე წალენჯიხის რაიონის სპორტული მოძრაობის თავკაცს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვაჟა აკობიას.

* * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ამავე ფედერაციის თანამშრომელს, ცნობილ საფეხბურთო სტატისტიკოს რევაზ შენგელიას.

# მედლები და ქვეყნები

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| გერმანია | 11 | 12 | 6 | 29 |
| აშშ | 9 | 9 | 7 | 25 |
| ავსტრია | 9 | 9 | 7 | 25 |
| რუსეთი | 8 | 6 | 8 | 22 |
| კანადა | 7 | 10 | 7 | 24 |
| შვედეთი | 7 | 2 | 5 | 14 |
| კორეა | 6 | 3 | 2 | 11 |
| შვეიცარია | 5 | 4 | 5 | 14 |
| იტალია | 5 | 0 | 6 | 11 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 4 | 9 |
| ჰოლანდია | 3 | 2 | 4 | 9 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 |
| ნორვეგია | 2 | 8 | 9 | 19 |
| ჩინეთი | 2 | 4 | 5 | 11 |
| ჩეხეთი | 1 | 2 | 1 | 4 |
| ხორვატია | 1 | 2 | 0 | 3 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 2 |
| იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 |
| ფინეთი | 0 | 6 | 3 | 9 |
| პოლონეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| ბელარუსი | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბულგარეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| დიდი ბრიტ. | 0 | 1 | 0 | 1 |
| სლოვაკეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 2 |
| ლატვია | 0 | 0 | 1 | 1 |



# კალათბურთი. ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

**გათამაშების** ცხრილში განვლილ XX ტურს გუნდები ადრე დაკავებული საფეხურებიდან არ დაუძრავს, ოღონდ ეგაა, ლიდერი თსუ — „ნიკორა" ახლა უკვე ორი ქულით უსწრებს უახლოეს „მდევარს". „ნიკორამ", რაღა თქმა უნდა, ადვილად მოუგო „ქუთაისს" — 114:74 (26:25, 24:15, 29:15, 35:19), „ავიამშენი" ამ ტურში სტუ-მ დაამარცხა — 90:87 (23:24, 24:33, 19:13, 24:17), „დინამომ" მოუგო სსუ-ს 105:76 (28:19, 24:17, 32:21, 21:19); „მაქაბმა" სტუმართან, „აზოტთან" წააგო — 68:93 (15:31, 23:18, 15:23, 15:21).

20 ტურის შემდეგ ცხრილი ასე გამოიყურება:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნიკორა | 20 | 18 | 2 | +285 | 38 |
| ავიამშენი | 20 | 16 | 4 | +387 | 36 |
| სტუ | 20 | 14 | 6 | +135 | 34 |
| აზოტი | 19 | 12 | 7 | +242 | 31 |
| დინამო | 20 | 9 | 11 | +59 | 29 |
| მაქაბი | 20 | 5 | 15 | -348 | 25 |
| ქუთაისი (-1) | 19 | 3 | 16 | -277 | 22 |
| სსუ | 20 | 2 | 18 | -460 | 22 |

**6 მარტი. ორშაბათი:** ნიკორა - სსუ, დინამო — მაქაბი, ავიამშენი - ქუთაისი, აზოტი - სტუ.

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებულ ცხრილში გაიპარა შეცდომა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით.

# ბზარი სპორტის აკადემიაში... SOS

არა, მშვიდად ბრძანდებოდეთ, იმ ბზარზე არაა ლაპარაკი შრომით კოლექტივში თავს რომ იჩენს ხოლმე არცთუ იშვიათად. ამ მხრივ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ჩინებული ვითარებაა, მეტიც, ეს უმაღლესი სასწავლებელი მონოლითურობით და ერთმანეთის თანადგომით სამაგალითოდაც შეიძლება დასახელდეს.

ასე რომ, სხვა ბზარზეა ლაპარაკი, ნამდვილ ბზარზე ნაგებობებზე რომ იჩენს ხოლმე თავს და სიცოცხლისთვის სახიფათო რომ ხდება. ახლა, მას შემდეგ, რაც მოსკოვში სახურავის ჩამოქცევით უკვე მეორე უბედური შემთხვევა დასრულდა ტრაგიკულად, სხვა ქვეყნებშიც დაიწყეს ჭერში ყურება, ბზარების თუ ლითონის კონსტრუქციების ეროზიის დათვალიერება და შემოწმება. თბილისშიც არ არიან მშვიდად სპორტის სასახლის და ფილარმონიის თუ სხვა ნაგებობების ხელმძღვანელები. დიდი ხანია მოსვენება აქვთ დაკარგული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში – კაცმა არ იცის შენობის IV სართულზე გაჩენილი ბზარი, როდის იქცევა უბედურების მიზეზად. ბზარი ბზარია, გინდ ჭერში იყოს და გინდ კედელზე, თუნდაც იატაკზე, რბილად რომ ვთქვათ, საგანგაშოა. სპორტის აკადემიამაც არაერთგზის გაამახვილა ყურადღება „ჩასაფრებულ საფრთხეზე", მაგრამ სასიკეთო, სამწუხაროდ, ჯერ არაფერი ჩანს. მალე ერთი წელი გახდება, რაც ამ შენობაში ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სტუმრობდა და მაშინ აკადემიის შენობისა და სხვა სასწავლო-საწვრთნო ნაგებობების კეთილმოწყობაზეც გამახვილდა ყურადღება.

დრო არ ითმენს, იქნებ დაგვიანებულიცაა, მაგრამ ვიდრე უფრო დახანება სანანებლად არ გაგვხდომია, ბზარს სპორტის აკადემიის IV სართულზე, მიხედვა უნდა.

თვითმხილველი.

# საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

**უმაღლესი ლიგა, XVII ტური. 4 მარტი**

დილა — სიონი
ლოკომოტივი — ტორპედო
დინამო (ბთ) — სპარტაკი
დინამო (სოხ) — ვიტ ჯორჯია (მატჩი მცხეთაში ჩატარდება)
თბილისი — დინამო (თბ)
კახეთი — ცხინვალი
კოლხეთი 1913 — ბორჯომი
ზესტაფონი — ამერი
მატჩები 15 საათზე დაიწყება.

## მსაჯები, დამკვირვებლები

**დილა – სიონი** — მ. მაისურაძე, ლ. მიქელაძე, გ. დოგრაშვილი, დ. ხარიტონაშვილი, დამკვირვებელი — ვ. ეჯიბია.

**ლოკომოტივი – ტორპედო** — მ. ბეჟქლიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ა. კოკაია, ლ. ფანიაშვილი, დამკვირვებელი — ს. კუტივაძე.

**დინამო (ბთ) – სპარტაკი** — ჯ. ბუიშვილი, ხ. გაგნიძე, კ. ტეფნაძე, ო. ხეცაძე, დამრიგებელი — მ. მირცხულავა.

**დინამო (სოხ) – ვიტ ჯორჯია** — ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი, დ. კვეტენაძე, პ. დოგრაშვილი, დამკვირვებელი — ო. გუნთაძე.

**თბილისი – დინამო (თბ)** — გ. ვადაჭკორია, მ. ურუშაძე, ა. გუნთაძე, ლ. სილაგავა, დამკვირვებელი — ა. შალამბერიძე.

**კახეთი – ცხინვალი** — ვ. ელისაბედაშვილი, კ. ბერაძე, ზ. ხუციშვილი, დ. სანაია, დამკვირვებელი — ზ. პეტრიაშვილი.

**კოლხეთი – ბორჯომი** — ა. ორდინიძე, გ. ცირდავა, ზ. ჯვარიძე, გ. კიკაჩეიშვილი, დამკვირვებელი — ე. სილაგავა.

**ზესტაფონი – ამერი** — ლ. კვარაცხელია, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, ა. კრიჭაშვილი, დამკვირვებელი — ტ. ნიშნიანიძე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 16 | 12 | 3 | 1 | 35-10 | 39 |
| სიონი | 16 | 12 | 2 | 2 | 32-12 | 38 |
| დინამო (თბ) | 16 | 11 | 2 | 3 | 26-7 | 35 |
| ლოკომოტივი | 16 | 10 | 3 | 3 | 26-10 | 33 |
| ამერი | 16 | 10 | 2 | 4 | 20-10 | 32 |
| ბორჯომი | 16 | 10 | 0 | 6 | 29-16 | 30 |
| ზესტაფონი | 16 | 9 | 3 | 4 | 20-12 | 30 |
| დინამო (ბთ) | 16 | 7 | 4 | 5 | 14-12 | 25 |
| კოლხეთი1913 | 16 | 7 | 1 | 8 | 16-20 | 22 |
| დილა | 16 | 5 | 1 | 10 | 21-24 | 16 |
| კახეთი | 16 | 5 | 1 | 10 | 14-26 | 16 |
| ცხინვალი | 16 | 4 | 3 | 9 | 14-29 | 15 |
| ტორპედო | 16 | 3 | 4 | 9 | 11-22 | 13 |
| დინამო (სხ) | 16 | 3 | 1 | 12 | 17-40 | 10 |
| სპარტაკი | 16 | 2 | 2 | 12 | 4-28 | 8 |
| თბილისი | 16 | 1 | 2 | 13 | 10-31 | 5 |

# მსროლელები მოსკოვში

„ლელოს" წინა ნომერში ვტყობინებოდით, რომ მოსკოვში, ტყვიის სროლაში ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა რუსეთის საკონსულოს მიერ ვიზების გაცემის საკითხი. ვწერდით იმასაც, რომ 28 თებერვალს 12 საათისთვის იყვნენ ჩვენები საკონსულოში დაბარებულები იმ იმედით, რომ ვიზები გაიცემოდა. იმედი გამართლდა.

ჩვენი ქალთა ნაკრები, ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძესთან** ერთად იასპარეზებს ჩემპიონატში. ნინოს გარდა საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ **ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი.** რეზერვშია **ეთერ კოზინი.** ვაჟთა შორის კი მხოლოდ ორი მონაწილე გვეყოლება — **სერგო ჩიტაიშვილი** და **ლევან ქადაგიძე.** შეგახსენებთ, რომ მოსკოვში მომავალი ოლიმპიადის ლიცენზიაც გათამაშდება. ამ სანუკვარ ჯილდოს, ცხადია, უძლიერესები მიიღებენ. მაგრამ იმ შემთხვევაში თუ უკვე საგზურის მფლობელი მოხვდება რჩეულთა შორის, მაშინ ლიცენზიას მომდევნო სპორტსმენი მიიღებს.

# ტაშკენტში კი ძირითადით. და დიდი იმედით...

იზმირში გამართულ „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირში (ადრე ვები ეგრეს სახელობისა იყო) საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ულიმღამოდ იასპარეზა. მართალია, თურქეთში ნაკრების მეორე შემადგენლობა წავიდა, მაგრამ მათ შორის გამოცდილი ფალავნებიც იყვნენ.

მხოლოდ ბრინჯაოს ერთი მედალი – ასეთია ჩვენების მონაგარი. ეს ჯილდო მოიპოვა შმაგი სალთხუციშვილმა (74 კგ). მეხუთე ადგილზე გავიდნენ აკაკი ჯოხაძე (84) და მირიან გიორგაძე (მძიმე).

„ოქროს დიდ პრიზზე" ტაშკენტში გასამგზავრებლად და საჭიდაოდ ემზადებიან საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები, ნაცადი ხელმძღვანელის ზაზა თურმანიძის თაოსნობით. იქ სარბიელზე გამოვა ძირითადი შემადგენლობა – ბესარიონ გუჩაშვილი (55), დავით პოღოსიანი, მალხაზ ქურდიანი (ორივე – 60), ოთარ თუშიშვილი (66), გელა სალირაშვილი (74), რევაზ მინდორაშვილი (84), გიორგი გოგშელიძე (96), ლუკა კურტანიძე (მძიმე), ლექსო მოდებაძე (ორივე – მძიმე).

ტაშკენტი ტურნირს 11-12 მარტს უმასპინძლებს.

თვის მონაპოვარი

# ელენეს თვე

თებერვალი შესანიშნავი თვე იყო სპორტული თვალსაზრისით, თუნდაც იმით, რომ ტურინში სწორედ ამ თვეში ჩატარდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები. მართალია, მედალი არ მოგვიპოვებია და ამის ილუზია არც არავის ჰქონდა, მაგრამ ტურინის „თეთრი ოლიმპიადა" მაინც ღირსსახსოვარ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული სპორტის ისტორიაში. 16 წლის ელენე გედევანიშვილმა, რომლის დებიუტი ფიგურულ სრიალში სწორედ ტურინში შედგა, მსოფლიო რჩეულ სპორტსმენთა შორის ათეულში დაიმკვიდრა ადგილი და უზომო სიხარულთან ერთად სიამაყე განგვაცდევინა ყველას. კარგად წარმოგვიდგენია რა იქნება 4 წლის შემდეგ, მომდევნო ოლიმპიადაზე. ასე რომ, შევთანხმდეთ, გასული თებერვალი ელენესი იყო.

წინა თვის პირველ კვირაში თბილისმა ძიუდოში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა მსოფლიოს თასის ეგიდით. უმასპინძლა სანაქებოდ. ბრწყინვალე იყო შედეგიც: ოქროს – 2, ვერცხლის ამდენივე და ბრინჯაოს 5 მედალი. სამწუხაროდ, შემდგომ ტურნირებში ასე სახელოვნად ველარ იფალავნეს ჩვენმა ძიუდოისტებმა. მომდევნო ტურნირში, რომელიც პარიზში გაიმართა, მხოლოდ ერთმა შედგა ფეხი საპატიო კვარცხლბეკზე. ეს იყო მძიმეწონოსანი ზვიად ხანჯალიაშვილი, რომელიც მეორე ადგილს დასჯერდა. აი, პარიზიდან ჰამბურგში გადანაცვლებული ჩვენი ძიუდოისტები საფრანგეთის დედაქალაქში კი სულაც უმედლოდ დარჩნენ და მხოლოდ V-VI ადგილებს დასჯერდნენ. წარმატება ვერც გამარჯვებებს შეჩვეულმა ბორჯღალოსნებმა მიაღწიეს – რუმინეთში მასპინძლებთან დამარცხდნენ „ერთა თასზე" და ანთიმოზ ივერიელის გარდამავალი თასიც დათმეს. თუმცა, მანამდე, როგორც იტყვიან, შინ „ბდღვირი ადინეს" რუსეთის ნაკრებს.

გორელმა ფალავანმა დავით პოღოსიანმა ხალიჩაზე დაბრუნება გადაწყვიტა და დაამტკიცა კიდეც, რომ სარბიელიდან წასვლაზე ფიქრი მისთვის ჯერ ნაადრევია. დავითმა კიევის საერთაშორისო ტურნირზე პირველობა მოიპოვა. მედლებით დაბრუნდნენ საფრანგეთიდან ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები, სადაც მსოფლიოს თასის „A" კატეგორიის ტურნირი გაიმართა. აქ პირველობა არავის დაუთმეს მანუჩარ კვირკველიამ და რეზო ჭელიძემ, მეორე ადგილზე გავიდნენ გენადი გოგიშვილი და შალვა გადაბაძე, მესამე იყო ირაკლი ჭოჭუა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

თებერვალი დახუნძლული იყო საქართველოს ჩემპიონატებით, თბილისის პირველობებით და ღია პირველობებით. შეჯიბრებები ჩატარდა კრივში, ფარიკაობაში, ჭიდაობის ყველა სახეობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ხრიდოლში, კარატეში, ჭადრაკში, ბილიარდში... ადრე თებერვალში ამდენი ასპარეზობები არასდროს გამართულა. გასული თვის ბოლოს, საქველმოქმედო აქცია ჩაატარეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა გიორგი ასანიძემ და ზურაბ ზვიადაურმა, რომლებმაც ძვირფასი ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ჩვენი ვეტერანი ოლიმპიური ჩემპიონები.

# კოკაი და ძმანი მისნი...

სუმოში იწყება ახალი ტურნირი — ოსაკის ბაშო, რომელშიაც ჩვენი **ლევან ცაგურიაც** (კოკაი) იასპარეზებს. ამ ბაშოს წინ სუმოს საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა გამოაქვეყნა მორიგი საკვალიფიკაციო ნუსხა, რომელშიაც რიკიშებს შორის ჩვენი მოჭიდავე ერთი საფეხურითაა დაწინაურებული.

ახლა, ოსაკის ბაშოზე, კოკაი იმავე რანგში გამოვა, როგორც 2004 წელს, სექტემბრის ბაშოზე. ასე რომ, როგორც პირველი მაეგაშირა ის ამჟამად მეორედ გავა დოჰიოზე.

ე.წ. სანდამე დივიზიონში იასპარეზებს კოკაის ძმა **გიორგი ცაგურია** (ცუკასაუმი). შარშან საწყის დივიზიონში გამარჯვებულმა **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) წინ ერთი საფეხურით წაიწია და ახლა ე.წ. ძონიდან — დივიზიონში 28-ე ნომრადაა შესული.

ვფიქრობთ, რომ გიორგი ცაგურია მეოთხე დივიზიონში იჭიდავებს.

# ყველაზე ეროვნული...

რომელია საქართველოში ყველაზე ეროვნული ფედერაცია? ამ შეკითხვაზე ბევრი დაფიქრდება, მაგრამ, ვინც „ხრიდოლის" ეროვნული ფედერაციის საქმიანობას იცნობს, წამითაც არ შეყოვნდება და მყისიერად დაგისახელებთ „ხრიდოლის" ფედერაციას (პრეზიდენტი ნუკრი მჭედლიშვილი). ხრიდოლის, ორთაბრძოლის ამ წმინდა ეროვნული სახეობის საიდუმლოებას ბევრი მოზარდი ეუფლება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თბილისის ღია პირველობაზე, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, საქართველოს 15 სადროშოს 150-ზე მეტმა რჩეულმა სპორტსმენმა ისპარეზა რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამოვლინდა 16 გამარჯვებული პირად პირველობაში (აბსოლუტურის ჩათვლით). გუნდური ასპარეზობა კი „იბერიელი მგლების" სადროშომ მოიგო. ამ სადროშოს წარმომადგენელი **ბაქარ ნიკოლაიშვილი** კი ტურნირის აბსოლუტური ფალავანი გახდა.

გაგაცნობთ სხვადახვა წონასა და ასაკში გამარჯვებულებს. ესენი არიან: **ზვიად გერგედავა, ზურაბ ნაბელაშვილი, ალექსანდრე დიხამინჯია, თორნიკე ფოლადაშვილი, მალხაზ გელენიძე, რომან ხუნდაძე, იმედო ჟორჟოლიანი, ზაზა გვრიტიშვილი, გიორგი ჯანჯღავა, ლაშა ჯანჯღავა, ლევან გოგია, ოთარ ნიკოლაიშვილი, გიორგი ყალაბეგაშვილი, რატი ფურცელაძე, თორნიკე ჩადუნელი.**

ტურნირის ორგანიზატორებს მხარში დაუდგა თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახური (უფროსი **გიორგი უდესიანი**), რომელმაც დარბაზი გამოჰყო და თავის თავზე აიღო გამარჯვებულთა და პრიზიორთა დიპლომებითა და მედლებით უზრუნველყოფა.



**სურათზე:** ფინალური შეხვედრა აბსოლუტურ წონაში. მარცხნივ — **გიორგი ბასილაშვილი**, მარჯვნივ — აბსოლუტური ფალავანი — **ბაქარ ნიკოლაიშვილი.**

ფოტო რობერტ ბაგოიანისა.

# საერთაშორისო კომპლექსური ღონისძიება ინვალიდთა სპორტის პრობლემებზე



НАЦІОНАЛЬНИЙ УНІВЕРСИТЕТ ФІЗИЧНОГО ВИХОВАННЯ І СПОРТУ УКРАЇНИ

СЕРТИФІКАТ

засвідчує участь

Харитонашвілі Каха Шотаєвича

у комплексних міжнародних заходах

"СПОРТ ІНВАЛІДІВ І МІЖНАРОДНИЙ ОЛІМПІЙСЬКИЙ РУХ"

კიევის ნაციონალური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო კომპლექსური ღონისძიება — „ინვალიდთა სპორტი სერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის სისტემაში".

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორატმა გადაწყვიტა, მიწვევის საფუძველზე კიევში ჩემი მივლინება. მონაწილეობდნენ 13 ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები. ჩატარდა მეცნიერული კონფერენცია თემაზე: „სპეციალური ოლიმპიადა", „პარაოლიმპიური სპორტი", „ადაპტიური სპორტი". მე წარმოვადგინე თემა „სპეციალური ოლიმპიური თამაშების სოციალურ-პედაგოგიური ეფექტი". ამ თემაზე საქართველოში ვმუშაობდი თემურ მიქიაშვილთან და ავთო ცომაიასთან ერთად. პრაქტიკული სემინარი მიეძღვნა ინვალიდ სპორტსმენებთან მუშაობის თავისებურებებს. დავესწარით ინტელექტდაქვეითებულ ბავშვებთან ჩატარებულ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილს. შემდეგ, მოეწყო მრგვალი მაგიდა თემაზე: „ინვალიდთა სპორტში არსებული მდგომარეობა მსოფლიოში და მისი განვითარების პერსპექტივები".

კიევში შეხვედრები მქონდა ნაციონალური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან, აგრეთვე ღონისძიებაში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების დელეგაციის წევრებთან. მათ გამოთქვეს დიდი სურვილი ითანამშრომლონ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან.

კახა ხარიტონაშვილი,
საქ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

### ზაურ შეყრილაძის მემორიალი

# 17 წონით კატეგორიაში

ქუთაისში დასრულდა ჭაბუკთა ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში **ზაურ შეყრილაძის** პრიზზე. სასპარეზოდ ქუთაისში შეიკრიბა 230-მდე სპორტსმენი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან.



**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:** 23 კგ — ნიკა ღარიბოვი (ქუთ), 26 კგ — თორნიკე ელიაშვილი (ხაშური), 29 კგ — შოთა ასრათაშვილი (საგარ), 32 კგ — აკაკი მოწონელიძე 35 კგ — დავით უზიაშვილი (ორივე — ხაშური), 38 კგ — ზურაბ ერბოწონაშვილი, 42 კგ — ბექა პეტრიაშვილი, 46 კგ — ვასილ მამულაშვილი, 50 კგ — დავით ხუციშვილი (ყველა — საგარ), 54 კგ — გივი დავიდოვი (საჩხ), 58 კგ — ზურაბ სულაქველიძე (ქუთ), 63 კგ — თორნიკე როსტიაშვილი (საგარ), 69 კგ — ოთარ ურატაძე, 76 კგ — პაპუნა ლომთაძე (ორივე — ქუთ), 85 კგ — მიხეილ აბრამიშვილი (თბ) და +85 კგ — ირაკლი ნანავა (ზუგდ).

ზ. შეყრილაძის სახელობის მთავარი პრიზი გადაეცა **გივი დავიდოვს.**

# ფრენბურთი მომძლავრდება



აჯილდოებს ოლიმპიური ჩემპიონი ვაჟა კაჭარავა.

თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურმა (უფროსი **გიორგი უდესიანი**) ფრენბურთში სასკოლო ასაკის მოსწავლეთა პირველობა ჩაატარა 12 გუნდის მონაწილეობით, რაც ესოდენ მისასალმებელია. მესამე ადგილისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „ორბი" და „მერცხლები". 3:2 გაიმარჯვეს ორბელებმა. ფინალში „ნინომ" მოუგო „შევარდენს" — 3:1 და მთავარ პრიზს დაეუფლა. პირველი ოთხეულის მწვრთნელები შესაბამისად არიან: **ირმა მეტრეველი, მაია ხორიაშვილი, პავლე მაჩაიძე და ფელიქს სუქიასოვი.**

გარდა დიპლომებისა და მედლებისა რჩეულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. მათ გარდა გამოვლინდნენ საუკეთესონი სხვადასხვა ნომინაციაში. საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს **ნინო ლომიძე** („ნინო"), მცველად — **მაშა გოლშაპოვა**, თავდამსხმელად — **თამუნა კოროშინაძე** (ორივე — „შევარდენი"), „გამთამაშებლად — **ნათია ბანძელაძე** („ორბი"), დაჯილდოვდნენ პერსპექტიული სპორტსმენებიც — **დალი ალიბეგაშვილი** („ნინო), **თიკა ჭაუჭიძე** („ორბი"), **იანა ზოდიმენჩენკო** („მერცხლები").



გამარჯვებული გუნდი

ფოტო რობერტ ბაგოიანისა

# ოლიმპიური ვიქტორინა

*1. რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა აღორძინებულ I ოლიმპიურ თამაშებში?*

ა — 10
ბ — 13
გ — 21

*2. რომელი წლიდან აღირიცხება სპორტში მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდები?*

ა — 1892 წლიდან
ბ — 1894 წლიდან
გ — 1896 წლიდან

*3. სპორტის რომელ სახეობაში დამყარდა ყველაზე მეტი ოლიმპიური რეკორდი თანამედროვეობის I ოლიმპიურ თამაშებში?*

ა — მძლეოსნობაში
ბ — ცურვაში
გ — ველოსპორტში

*4. „ოლიმპიადას მხოლოდ ერთადერთ ქვეყანაში ეკიდებიან გულგრილად" — რომელ ქვეყანას გულისხმობდა ამ სტრიქონების ავტორი პიერ დე კუბერტენი?*

ა — რუსეთს
ბ — საფრანგეთს
გ — გერმანიას

*5. რომელი წლიდან იწყება ქალთა მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში?*

ა — 1894 წლიდან
ბ — 1896 წლიდან
გ — 1900 წლიდან.

წინა ვიქტორინის პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — ა, 4 — გ, 5 — ბ.

საქართველოს სუმოს ეროვნული ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ღრმა მწუხარებაში ლევან (კოკაი) და გიორგი ცაგურიებს მამის

მერაბ ცაგურიას

გარდაცვალების გამო.

# ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

## მეათე ოლიმპიური თამაშები




ეს ოლიმპიადა ჩატარდა ამერიკის შეერთებული შტატების ქ. ლოს-ანჟელესში (კალიფორნიის შტატი). დაიწყო იგი 1932 წლის 30 ივლისს და დამთავრდა 14 აგვისტოს. მონაწილეობდა 38 სახელმწიფოს 1333 სპორტსმენი, მათ შორის 125 ქალი.

პირველად ამ თამაშებზე მოეწყო საჩვენებელი გამოსვლები ლიაკროსში და ამერიკულ ფეხბურთში.

გათამაშდა მედლების 117 კომპლექტი. აშშ-ის სპორტსმენებმა მოიპოვეს ყველაზე მეტი მედალი — 103. ოქროს ჯილდოებითაც ისინი იყვნენ წინ — 42. თავისთავად, მათ გაიმარჯვეს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაშიც.

დამყარდა 17 ოლიმპიური და 16 მსოფლიო რეკორდი.

ოლიმპიური მედლები გადაეცათ გერმანელ ალპინისტებს, ძმებს **ფრანც** და **ტონი შმიდტებს** (ტონის სიკვდილის შემდეგ) მწვერვალ **მატერხორსონის** დაპყრობისათვის.





თამაშების საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ფინელი მძლეოსანი შუბის მტყორცნელი **მატი იარვინენი.** 72,71 მეტრი იყო ტყორცნის შედეგი (ოლიმპიური რეკორდი). შემდგომში ჰელსინკის ოლიმპიური სტადიონის წინ აღიმართება კოშკურა, რომელიც ნატყორცნის ტოლია. ეს სპორტსმენის აღიარება იყო.

ამერიკელმა სპორტსმენმა **ედვარდ ტომას ტოულენმა** ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდებით გაიმარჯვა 100 და 200 მ. რბენაში. შესაბამისად — 10,3 და 21,2. რბენა 400 მ. მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით მოიგო ამერიკელმა **უილიამ არტურ კარიმ** — 46,2. სამხტომში პირველი იყო იაპონელი **ჩუხეი ნამბუ** (15,72).

ქალთა შორის 100 მ. ყველაზე სწრაფად გაირბინა პოლონელმა **სტანისლავა ვალასევიჩმა** (11,9). ბადროს ტყორცნაში შედეგით 40,58 მ. გაიმარჯვა ამერიკელმა **ლილიან კოუპლენდიმ.** წარმატებით გამოვიდა ამერიკელი **მილერდ დიდრიკსონი.** მან ოლიმპიური რეკორდებით მოიგო 80 მ. წინაღობებით რბენა (11,7) და შუბის ტყორცნა (43,68).

ვაჟთა შორის ცურვაში დომინირებდნენ იაპონელი სპორტსმენები. ისინი პროგრამის ექვსი სახეობიდან პირველები იყვნენ — ხუთში. 1500 მ-ზე თავი ისახელა **კუსუო კიტამურამ,** იგი მაშინ 14 წლისა იყო: მისი შედეგი 19.12,4 ოლიმპიური რეკორდით აღინიშნა. ქალთა შორის ამერიკელი **ჰელენ მედისონი** პირველი იყო 100 მ (1.06,8) 400 მ (5.28,5) თავისუფალ ცურვაში და 4X100 ესტაფეტაში (ოლიმპიური და მსოფლიო რეკორდები).

ტანმოვარჯიშეთა შორის საუკეთესო იყო იტალიელი **რომეო ნერი.** იგი გამარჯვებული გამოვიდა მრავალჭიდში, ორძელზე ვარჯიშში და გუნდურ შეჯიბრებაში.

ფარიკაობაში პირადი პირველობა რაპირასა და დაშნაში მოიგეს იტალიელებმა, შესაბამისად **გუსტავო მარციმ** და **ჯანკარლო კორნაჯა-მედიჩმა.** ხმლით ასპარეზობა მოიგეს უნგრელებმა.

კრივში 50,8 კგ. წონაში გაიმარჯვა უნგრელმა **იშტვენ ენეკეშმა.** ორ-ორ წონით კატეგორიაში პირველები იყვნენ აშშ-ის არგენტინისა და სამხრეთ აფრიკის სპორტსმენები.

ძალოსნობაში გამოიკვეთა ევროპელთა უპირატესობა. ფრანგებმა **რაიმონდ სიუვიგნიმ, რენე დიუვერჟემ** და **ლუი ოსტინიმ** იმარჯვეს. ორი ოქრო გერმანელებს ხვდათ.

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში შვედმა კარლ ვესტერგრინმა მოიპოვა პირველობა 87 კგ. წონაში. ეს მისი მესამე ოლიმპიური ოქრო იყო. პირველი ორი წინა ოლიმპიადებზე დაიმსახურა.

თავისუფალ ჭიდაობაში გათამაშდა მედლების შვიდი კომპლექტი. ოთხი ოქროს მედალი ამერიკელებს ხვდათ წილად.

ველოსიპედისტთა პაექრობაში სამ ოქროს მედალს დაეპატრონენ იტალიელები. 100 კმ. საგზატკეცილო რბოლაში, პირად პირველობაში, იტალიელის **ატილიო პავესის დრო** იყო 2:28.05,6. იგი ამავე დისტანციაზე გუნდის შემადგენლობაშიც გამოდიოდა და გამარჯვება აქაც იზეიმა.

წყალში ხტომაში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის დომინირებდნენ აშშ-ის სპორტსმენები.

თამაშები ჩატარდა რეკონსტრუირებულ სტადიონ „კოლიზეიზე", რომელიც იმ დროისათვის ყველაზე მეტ — 105 ათას მაყურებელს იტევდა. მონაწილენი პირველად განთავსდნენ სპეციალურად აშენებულ „ოლიმპიურ სოფელში", რომელიც სასპორტო არენებიდან 20 კმ-ით. იყო დაცილებული, აქ აშენდა 700 სახლი ასაწყობი კონსტრუქციით. ასეთ საცხოვრებელ პირობებში სპორტსმენებს ერთმანეთის ახლოს გაცნობის, აზრთა გაზიარებისა და დამეგობრებისათვის კარგი საშუალება ეძლეოდათ.

ლოს-ანჟელესის თამაშებზე პირველად გამოიყენეს გამარჯვებულთათვის კვარცხლბეკი და პირველად აღიმართა ჩემპიონთა და პრიზიორთა პატივსაცემად მათივე სახელმწიფო დროშა.

### 1932 წელი. მეათე ოლიმპიური თამაშები

#### ქვეყნები და მედლები

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 42 | 32 | 29 | 103 |
| 2. იტალია | 12 | 12 | 13 | 37 |
| 3. საფრანგეთი | 10 | 5 | 9 | 19 |
| 4. გერმანია | 7 | 12 | 5 | 24 |
| 5. შვედეთი | 8 | 5 | 9 | 22 |
| 6. იაპონია | 6 | 7 | 4 | 17 |
| 7. უნგრეთი | 6 | 5 | 5 | 16 |
| 8. ფინეთი | 4 | 8 | 12 | 24 |
| 9. დიდი ბრიტ. | 4 | 6 | 5 | 15 |
| 10. ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 5 |
| 11. არგენტინა | 3 | 1 | - | 4 |
| 12. კანადა | 2 | 5 | 9 | 16 |
| 13. ნიდერლანდ. | 2 | 5 | - | 7 |
| 14. პოლონეთი | 2 | 1 | 4 | 7 |
| 15. სამხრ.აფრიკა | 2 | - | 3 | 5 |
| 16. ირლანდია | 2 | - | - | 2 |
| 17. ჩეხოსლოვაკია | 1 | 2 | 1 | 4 |
| 18. ავსტრია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 19. ინდოეთი | 1 | - | - | 1 |
| 20. დანია | — | 3 | 3 | 6 |
| 21. მექსიკა | - | 2 | - | 2 |
| 22. ახალი ზელანდ. | - | 1 | - | 1 |
| 23. ლატვია | - | 1 | - | 1 |
| 24. შვეიცარია | - | 1 | - | 1 |
| 25. ფილიპინები | - | - | 3 | 3 |
| 26. ესპანეთი | - | - | 1 | 1 |
| 27. ურუგვაი | - | - | 1 | 1 |
| სულ | 118 | 116 | 115 | 349 |

### მეათე თამაშები. 1932 წელი გათამაშებული მედლების რაოდენობა

| ქვეყნები | ვაჟი | ქალი | სულ |
|---|---|---|---|
| 1. აკად. ნიჩბოსნობა | 7 | - | 7 |
| 2. აფროსნობა | 4 | - | 4 |
| 3. ბალახის ჰოკეი | 1 | - | 1 |
| 4. ველოსპორტი | 6 | - | 6 |
| 5. თანამედრ.ხუთჭიდი | 1 | - | 1 |
| 6. კრივი | 8 | - | 8 |
| 7. მძლეოსნობა | 23 | 6 | 29 |
| 8. სროლა | 2 | - | 2 |
| 9. ტანვარჯიში | 12 | - | 12 |
| 10. ფარიკაობა | 6 | 1 | 7 |
| 11. ცურვა, წყ ხტომა | 8 | 7 | 15 |
| 12. ცხენოსნობა | 4 | - | 4 |
| 13. ძალოსნობა | 5 | - | 5 |
| 14. წყალბურთი | 1 | - | 1 |
| 15. წყალში ხტომა | 2 | 2 | 4 |
| 16. ჭიდაობა ბ/რ | 7 | - | 7 |
| 17. ჭიდაობა. თავისუფ. | 7 | - | 7 |
| 18. ალპინიზმი | 1 | - | 1 |
| სულ | 103 | 14 | 117 |

დავით კინწურაშვილი

გაგრძელება იქნება.
დასაწყ. „ლელო" №2-დან

# ვერისბაღელის მოგონებები

შეხვედრა წარსულთან

## ფუტსალმა ვერაზე აიდგა ფეხი

ვერის ბაღში, არაერთი ჩინებული სპორტული ბაზა ფუნქციონირებდა, რომელთაგან თავდაპირველად საკმაოდ კოხტა კალათბურთის მოედანს გამოვყოფდი. სწორედ აქ დიდი სამამულო ომის დასრულების შემდეგ თამაშობდა თბილისის ოფიცერთა სახლის (ოდო) კალათბურთელ ვაჟთა გუნდი. ამავე მოედანზე ასპარეზობდა თბილისის მეორე კლუბი — „დინამო", რომელიც ქართული კალათბურთის ფლაგმანი იყო. ამ სათამაშო სტადიონზე მოიპოვა თბილისის „დინამომ" საკავშირო თასი, ხოლო 1953 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრა.

უფრო გვიან, კალათბურთის პატარა სტადიონმა რეკონსტრუქცია განიცადა და იქ უკვე 2000 მაყურებელი ადევნებდა თვალს საინტერესო შეჯიბრებებს. ძალიან ხშირად „დინამო" საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებოდა, რაც საშუალებას აძლევდა ვერელებს კომფორტული მოედანი მინიფეხბურთის სათამაშოდ გამოეყენებინათ. დარბაზის ფეხბურთს თამაშობდნენ დიდუბეში, ნაძალადევში, ვაკეში და სხვა უბნებში. ეს იყო სახელდახელო ტურნირები, რომელთაც ორგანიზაციული ხასიათი აკლდათ. ეს საქმე მერე თავის თავზე აიღო **მიხეილ ასათიანმა**. თუ მეხსიერება არ მღალატობს, პირველი ასეთი მასშტაბური შეჯიბრება, ჩემ სახლში მცხოვრები, ტრაგიკულად დაღუპული, უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელის **გია ხომასურიძის** ხსოვნის თასზე მოვაწყეთ. მასში, დედაქალაქის თითქმის ყველა რაიონის გუნდი მონაწილეობდა. თავდაპირველად, მემორიალის თასი სწორედ ვერის კლუბმა მოიპოვა, რომლის შემადგენლობაში გამოვყოფდი: **ნუკრი დონდაძეს, ზაზა ბოკერიას, ზურაბ ანიკაშვილს, აჩიკო პეტრიაშვილს, ზურაბ გვასალიას, სიმონიკა ჩიხლაძეს, რეზო ოჩიგავას, ძმებს კოტე და დავით ებანოიძეებს, ოთარ და არკად გიგოლაშვილებს, თემურ ასათიანს, თემურ გიგინეიშვილს, პეტრე ფაღავას, გია ჩარკვიანსა** და სხვებს. გია ხომასურიძის მემორიალი ტრადიციული გახდა, იგი ძალიან დიდ ინტერესს იწვევდა. მის მსვლელობას სისტემატურად ვაშუქებდი გაზეთ „თბილისის" ფურცლებზე. მასალები, კიროვის ბაღის საკალათბურთო მოედანზე მომხდარი მინიფეხბურთელთა (დღეს მას ფუტსალი ეწოდება) ასპარეზობის შესახებ თავისი ილუსტრაციებით, სისტემატურად იბეჭდებოდა „ლელოს", „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე.

მკითხველი ალბათ იკითხავს, თუ რატომ იყო სავსე მაშინდელი ტურნირების დროს საკალათბურთო სტადიონი? მსგავსი ხასიათის შეჯიბრებებში თბილისის „დინამოს" 80-იანი წლების გამოჩენილი ტყავის ბურთის ოსტატები — ვერელი **დავით ყიფიანი, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით გოგია** და სხვები მონაწილეობდნენ. არ გაგიკვირდეთ და გეტყვით, რომ ვერელი ფეხბურთელები ხშირად ამარცხებდნენ აღიარებულ ოსტატებს.

სულ ახლახან, ფუტსალად მონათლულ მინიფეხბურთელთა საქართველოს XII ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე თბილისის „იბერია-2003"-ს, სათავეში ჩაუდგა 35 წლის ბრაზილიელი სპეციალისტი **მარსელო ამარალი**, რომელმაც თავისი კორექტივები შეიტანა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის თამაშის ტაქტიკაში. ამ რამდენიმე დღის წინათ, კი „იბერია-2003"-ის კლუბს 3 ბრაზილიელი ლეგიონერი — **ჟოზე ლუის დოს სანტოსი, კლაობის პერეირა და ლეონარდო პერეირა დოს სანტოს ჟუნიორი** შეემატნენ (მეოთხე ლეგიონერი კი სულ მალე შეუერთდება თავის თანამემამულეებს). თავდაპირველად, მარსელო ამარალს ეგონა, რომ სამუშაოდ დსთ-ს რომელიღაც ქვეყანაში ჩამოვიდა, სადაც ფეხბურთს მაინცდამაინც დიდ პატივს როდი სცემდნენ. როცა ახალგაზრდა მწვრთნელმა ოდნავ მიიხედ-მოიხედა და ამ სტრიქონების ავტორის „ბრაზილიურ სამზარეულოს" გაეცნო, დარწმუნდა, რომ ფეხბურთი საქართველოში ამაზონის ნაპირების მსგავსად არის პოპულარული. ჩვენი შეხვედრა, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების (საუბარია ისევ ფუტსალზე) უფროსი მწვრთნელის **ლევან გრიგოლიას** (ცხოვრობს ვერაზე) ბინაზე გაიმართა.





მარსელო ამარალს გავაცანი უამრავი რამ. სახელდობრ **გარინჩასა და მიხეილ მესხის** ურყევი მეგობრობის ამბავი. მისი აღფრთოვანება გამოიწვია ერთმა სასაცილო ეპიზოდმა, რომელიც 1965 წლის ნოემბერში, რიო დე-ჟანეიროს „მარაკანას" სტადიონზე მოხდა. როგორც გახსოვთ, ის შეხვედრა ფრედ 2-2 დასრულდა. **ვისენტე ფეოლამ** იქ შეკრებილ 123 ათას მაყურებელს ისევ (მერამდენედ) დაუმალა გარინჩა, რომელიც კვლავ არ გამოიყვანა მოედანზე. ახლა, მოდით, მიშას თბილისში დაბრუნების შემდეგ ნაამბობ სასაცილო ეპიზოდს დავუბრუნდეთ, რომელიც „ფეხბურთის მეფეს" — პელეს შეემთხვა: „შეხვედრის ერთ-ერთ ეპიზოდში ისე მოხდა, რომ მე და პელე ახლოს აღმოვჩნდით ერთმანეთთან. მე ზურგით ვიდექი „შავ მარგალიტთან". ბურთი უნდა მიმეღო, შემოვბრუნებულიყავი, ხოლო წინ პელე დამხვედროდა. როგორღაც ვიგრძენი, რომ მასპინძელთა კერპი ფეხგაჩხული იდგა. ამით ვისარგებლე და ისეთი მოძრაობა გავაკეთე, ვითომ ჩემსკენ მომავალი ბურთის შეჩერებას ვაპირებდი. სინამდვილეში კი ბურთი გავატარე და პელეს ფეხებქვეშ გავუძვრინე. მყისვე შემოვტრიალდი და ბურთს დავედევნე. პელე გაოცდა. იგი შეცბა. ერთბაშად ახარხარდა, წამომეწია (და თქვენ წარმოიდგინეთ), ზურგზე შემახტა და უკნიდან კისერში კოცნა დამიწყო. მე კი რამდენიმე მეტრი ვატარე „ფეხბურთის მეფე" ასე ზურგზე შემომჯდარი. მერე შეხვედრის მსაჯმა, როგორც იქნა შენიშნა წესის დარღვევა და ჯარიმა დანიშნა. „მარაკანაზე" ხარხარი ატყდა, ტრიბუნებზე ტაშისცემა გაისმა.

ეს ეპიზოდი თურმე ტრიბუნებზე მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების სენატორ რობერტ კენედის მოსწონებია და გასახდელში ჩამოსვლა გადაუწყვეტია. შეხვედრის შემდეგ, ისის იყო გაოფლიანებული ფორმა უნდა გაგვეხადა და „მარაკანას" საშხაპეში შევსულიყავით, რომ გასახდელში ჩოჩქოლი ატყდა. კარი გაიღო და პოლიციელების კარგა მოზრდილი ესკორტის თანხლებით, რობერტ კენედი პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა. საპატიო სტუმარი გაღიმებული მომიახლოვდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და ინგლისურ ენაზე მითხრა: — თენ ქიუ, მისტერ მესხი! თარჯიმანმა მითარგმნა, რომ ბატონი სენატორი აღტაცებულია თქვენი თამაშით და პირადად სურდა თქვენი გაცნობაო. კარგად აღარ მახსოვს, მაგრამ რომელიღაც ბრაზილიელმა ფოტოჟურნალისტმა ჩემი და განსვენებული რობერტ კენედის შეხვედრა ფირზე აღბეჭდა, იგი სახსოვრად გადმომცეს და თბილისში ჩამოვიტანე.

სტუმართმოყვარე ლევან გრიგოლიას ოჯახში, საქართველოს ფუტსალის ფედერაციის გენერალური მდივნის **ბექა კვიციანის** თანდასწრებით (მან საკმაოდ კარგად იცის პორტუგალიური ენა) ეს დაუვიწყარი ეპიზოდი, რომელიც რიოში „მტკვრისპირელ გარინჩად" შერაცხილ მიხეილ მესხს შეემთხვა, არა მარტო ვუამბე, არამედ ვუჩვენე ჩვენს პირდაღებულ ბრაზილიელ სტუმარს, რომელმაც იქვე, მრგვალ მაგიდასთან მსხდომი სტუმრების წინაშე განაცხადა: „სინიორ შალვა, თქვენ ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ყვითელ მაისურს იმსახურებთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამ სუვენირს უახლოეს დღეებში მიიღებთ".

არ მინდა ზუსტად გავიხსენო ის ავადმოსაგონარი 1969 წლის 16 ივლისის აცრემლებული „ქარიშხალას" ტრიბუნები, როცა თბილისის „დინამო" საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას აწყობდა ურუგვაის არაერთგზის ჩემპიონ, მონტევიდეოს (რაც „მთას ვხედავ" — ნიშნავს) „ნასიონალთან". ის ასპარეზობა 0-0 დასრულდა და მიშა მესხის დიდი ფეხბურთიდან „გაცილებას" მიეძღვნა. 32 წელს მიღწეული ლეგენდარული მარცხენა გარემარბის, ნაადრევად გუნდიდან გაძევების ამბავმა, სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია ფეხბურთის ათასობით გულშემატკივარში. „დინამოს" მაშინდელი მწვრთნელი **გივი ჩოხელი** მიიჩნევდა, რომ ურუგვაელებთან შეხვედრის დაწყებისას, მესხმა (როგორც საერთოდ ხდებოდა ხოლმე) ბურთი უნდა შეიყვანოს თამაშში და დაემშვიდობოს დიდ ფეხბურთს. ამან სულ გააცოფა მესხის ნიჭის მოყვარულები და საქმე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სულმნათ მდივან **დევი სტურუამდეც** (ჩემი სკოლის პარალელური კლასელი) მივიდა. დევი გიორგის ძემ, საკმაოდ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო: მიშა მესხი ერთ ნახევარს ითამაშებდა თბილისის „დინამოში", ხოლო მისი „გაცილება" მეორე 45 წუთის დასაწყისში მოხდებოდა. ტრიბუნების ტაშის გრიალში ჩაატარა მესხმა თავისი უკანასკნელი შეხვედრა მშობლიური კლუბის შემადგენლობაში. ყველას ცრემლები გვახრჩობდა, ფეხზე ვიდექით და პარიზის, ბუენოს-აირესის, „ესტადიო ნასიონალის" (ჩილე), მოსკოვის, „მარაკანას", „სენტენარიოს" სტადიონების მსგავსად გავყიოდით: მესხი, მესხი, მესხი, მესხი! თამაშის დამთავრების შემდეგ, „ნასიონალის" ბრაზილიელი მწვრთნელი ამბობდა: ასეთ სუპერვარსკვლავს ჩვენთან რომელი ჭკუათმყოფელი გაუშვებს კლუბიდან. გარინჩას მსგავს თავდამსხმელს უშვებთ და დანარჩენს ტოვებთ? მხარს იჩეჩავდნენ გაკვირვებული ურუგვაელები.

16 ივლისის საღამო ძალიან მძიმე იყო ვერისბაღელთათვის. ყველას სახეზე ბოღმა ჰქონდა გამოხატული, დიდი მწუხარების ჟამი იდგა მთელ საქართველოში.

მინდა „ქართული ფეხბურთის პატრიარქად" შერაცხილი **ანდრო ჟორდანიას** სპეციალური კომენტარი შემოგთავაზოთ, რომელიც მან ამ ამაღელვებელ ფაქტს მიუძღვნა: „ფეხბურთში ბევრი ავიც მინახავს და კარგიც, ჩემი გაოცება არ არის ადვილი, მაგრამ დღემდე გამოცანად მრჩება — თუ რატომ „დატოვა" მიხეილ მესხმა დიდი ფეხბურთი? განა ცუდად თამაშობდა? შარშან იგი რატომღაც იშვიათად გამოჰყავდათ გუნდის შემადგენლობაში. უნდა დავძინო, რომ მისი მონაწილეობით თბილისის „დინამოს" თითქმის არც ერთი თამაში არ წაუგია და, რაც მთავარია, იგი საუკეთესო იყო მოედანზე. წელს კი „ხანგრძლივი შესვენების" შემდეგ გამოვიდა მოედანზე მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალური კლუბის მონტევიდეოს „ნასიონალის" წინააღმდეგ. მის ამხანაგებს საწყენად არ დარჩებათ თუ ვიტყვი, რომ იმ დღეს მიხეილ მესხი საუკეთესო იყო მინდორზე. ცოტას როდი ნიშნავს ასე მკვეთრად გამოირჩეოდე 22 ქართველ თუ ურუგვაელ ფეხბურთელს შორის. მაშ, მიშა მესხს თამაში შესძლებია! განა საოცარი არ არის, რომ ასეთ თავდამსხმელს ვიცილებდეთ თავიდან, როგორც „მოხუცს"? აბა მითხარით, ვინ გამოიგონა პასპორტით ფეხბურთელის კლასის გაზომვა? 50 წლის სტენლი მეტიუზი თუ არ გახსოვთ, 40 წლის ლევ იაშინის თამაში ნახეთ და დააფასეთ ის გულთბილობა, რასაც მათდამი ყოველთვის იჩენდა სპორტული საზოგადოებრიობა".

გაისად, თბილისის „დინამოს" 60-იანი წლების ვარსკვლავებს — **მიხეილ მესხს, ვლადიმერ ბარქაიას, შოთა იამანიძეს, გივი ჩოხელს, ილია დათუნაშვილს**, დაბადების 70 წელი უსრულდებათ. ეს საიუბილეო თარიღები, წლეულს **სლავა მეტრეველსა** და **სერგო კოტრიკაძესაც** შეუსრულდებათ.

წერილის დასასრულს, რომელიც ბოლოსწინაა, ჩემი ერთი შეხედვით თითქოს გაჭიანურებულ მოგონებებში, პოეტ **ჯემალ ჩახავას**, საკმაოდ საყვარელი პატარა ლექსი მინდა შემოგთავაზოთ. იგი ნამდვილად ამშვენებს ჩემს საკმაოდ დიდტანიან და ფართოდ ილუსტრირებულ წიგნს „ვარდები მიხეილ მესხისათვის", რომელიც (ყოველგვარი ტრაბახის გარეშე) ამ სტრიქონების ავტორმა „მტკვრისპირელ გარინჩას" მიუძღვნა:

„მარადონა? მაგარი.  
პელე? სხვა იყო.  
მიშა მესხი? რომელი  
მიშა მესხი რა იყო?..  
ახლა, როცა ვუყურებ  
ბელანოვებს, პლატინებს,  
გახსენება მიშასი  
დარდისაგან მატირებს.  
და ვიხსენებ იმ დღეებს  
ასე შორს, რომ გასტოპა.  
ჩვენს გენიოსს არ იცნობს  
ჩვენი ახალგაზრდობა.  
ან კი რით დაგაჯეროთ,  
ის დამცველთა ამკლები  
მსოფლიოში არ იყო  
არავისზე ნაკლები.  
მარადონა — მაგარი!  
პელე მაინც სხვა იყო!  
გარბის ჩემი დღეებიც  
და ჭაღარას მიმატებს,  
ვეუბნები ყმაწვილებს  
ისტორიულ სიმართლეს..."

მანამდე კი მეხიკოში, 1968 წლის ზაფხულში გაიმართა ზაფხულის XIX ოლიმპიური თამაშები. „აცტეკას" 120-ათასიანი სტადიონის თონესავით გახურებულ სარბენ ბილიკებზე, რაკეტასავით გაიელვა „სოხუმელმა კენგურუმ" — ლეგენდარულმა სამხტომელმა **ვიქტორ სანეევმა**. უძლიერესებთან ჭიდილში მან ზედიზედ სამჯერ დაამხო მსოფლიო რეკორდი სამხტომში და ოქროს მედლის მოპოვებით სათავე დაუდო თავის შემდგომ ტრიუმფალურ გამოსვლებს — მიუნხენში, მონრეალსა და მოსკოვში. მექსიკის დედაქალაქში აისრულა თავისი ოცნება ლეგენდარულმა ქართველმა კლასიკოსმა **რომან რურუამ**, რომელიც ბულდოზერივით მოჭიდებდა ხალიჩაზე. ჯილდოდ მას ჩემპიონის ოქროს მედალი გადასცეს, თუმცა, გულში ხინჯად დარჩა 4 წლის წინათ მსაჯების ყოვლად უტაქტო საქციელის შედეგი. გახსოვთ, ალბათ, როცა მას ოქროს მედალი დააკარგვინეს. სხვათა შორის, რურუა ერთადერთი გახლდათ საბჭოთა კავშირის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში, რომელიც ოქროს მედლით დააჯილდოვეს.

**შალვა ქირია**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**სურათებზე: ურუგვაელებმა მხრებზე შეისვეს მიხეილ მესხი და ასე შემოატარეს მთელი სტადიონი, სენატორი რობერტ კენედი პირადად გაეცნო „შოუს" ავტორს — მიხეილ მესხს. ავტორის ფოტო-არქივიდან.**

---

**შეკითხვა „ლელოს"**

◆ ***რას ნიშნავს მოხელის დროებით შემსრულებლად, ან მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა და აღნიშნული მოხელეები ექვემდებარებიან თუ არა ატესტირებას.***

— მოვალეობის შემსრულებელი მოხელე არის პირი, რომელიც არ არის განუსაზღვრელი ვადით აყვანილი მოხელე.

მოვალეობის შემსრულებელი მოხელე ატესტირებას არ ექვემდებარება, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით ატესტაციას არ ექვემდებარება, სამსახურში მიიღება განსაზღვრული ვადით. კანონით საატესტაციო პერიოდი მოიცავს სამ წელს.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის თანახმად ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით შეიძლება დაიდოს არა უმეტეს 3 წლისა. ანუ ამ შემთხვევაში საატესტაციო პერიოდისა და განსაზღვრული ვადიანი ხელშეკრულების მაქსიმალური ზღვარი ემთხვევა ერთმანეთს, რაც სრულიად შესაბამისობაში მოდის ზემოხსენებულ მუხლთან. ამდენად განსაზღვრული ვადით აყვანილი მოხელეები ატესტაციას არ ექვემდებარებიან.

◆ ***კერძო სექტორში მუშაობა ჩაითვლება თუ არა შრომის სტაჟში?***

— მოქმედი კანონმდებლობით, შრომის სტაჟში ითვლება ყოველგვარი მუშაობა, რომელიც სრულდება დაქირავების წესით და რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევა.

◆ ***როგორია შრომის ხელშეკრულების არსი და რამდენად აუცილებელია მისი გაფორმება სამსახურის დაწყების დროს?***

— შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) არის შეთანხმება საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის, რომლითაც ერთი მხარე ვალდებულებას იღებს უზრუნველყოთ შრომის სათანადო პირობებით და ხელფასის იმ ოდენობით, რაც შრომის ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე მხარე, ანუ მუშაკი ვალდებულებას იღებს, შეასრულოს გარკვეული სამუშაო სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, დაიცვას შრომის ხელშეკრულების პირობები, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს. ამასთან, მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულებაში ჩადონ ის პირობები, რაც ორივე მხარისთვის მისაღებია და რომელიმე მხარეს არ აყენებდეს დომინირებულ მდგომარეობაში. ამდენად სამსახურის დაწყების დროს შრომის ხელშეკრულების გაფორმება აუცილებელია.

◆ ***როცა მუშაკს უკანონოდ ათავისუფლებენ სამსახურიდან, სასამართლო ინსტანციის გარდა თუ მოქმედებს ორგანო, რომელიც განიხილავს დავას და დაიცავს შელახულ შრომის უფლებებს?***

— შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, შრომის დავის განმხილველი ორგანოებია:

შრომის დავის კომისიები;

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირები;

სასამართლოები.

შრომის დავის კომისიებში განცხადებათა მიღებას აწარმოებს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირი. კომისია ვალდებულია შრომის დავა განიხილოს ხუთ დღეში განცხადების შეტანიდან. კომისიის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს და არავითარ დამტკიცებას არ საჭიროებს.

თუ მუშაკი არ დააკმაყოფილა დავის კომისიის გადაწყვეტილებამ ათი დღის ვადაში, უნდა მიმართოს დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირს განცხადებით დავის გადაჭრის შესახებ. არასასურველი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი მუშაკმა უნდა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ერთი თვის ვადაში.

◆ ***ვარ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის მედლით დაჯილდოებული. დაჯილდოებულზე ვრცელდება თუ არა რაიმე სახის შეღავათი?***

— ვახტანგ გორგასლის მედლით დაჯილდოებულთათვის, კონკრეტულად, შეღავათები არ არსებობს. მნიშვნელობა ენიჭება იმას, რისთვისაა მიღებული ეს მედალი.

◆ ***რამდენი ლარია დღევანდელი კურსით 1990 წლის 10 დეკემბრის 10 400 რუსული მანეთი?***

დღევანდელი კურსით 1990 წლის 10 დეკემბრის 10 400 რუსული მანეთი 8873 ლარს შეადგენს (გაანგარიშება ხდება მანეთისა და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით).

**კითხვა-პასუხი მომამზადა საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა საქართველოს პროფკავშირმა „ლელოს" დაკვეთით.**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №14.**

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გენერალური სპონსორი Coca-Cola

## გაზაფხულდა, აყვავილდა...

ქართულ ფეხბურთს აყვავებამდე ბევრი უკლია და პრობლემებიც მოსძალებია, მაგრამ საფეხბურთო ცხოვრება, საბედნიეროდ, მაინც გრძელდება. შაბათს, 4 მარტს, უმაღლესი ლიგის XVII ტურის მატჩები გაიმართება. ჩემპიონატის სამივე ლიდერი გასვლით მატჩებს ჩაატარებს. საგაზაფხულო მზადყოფნას ერთმანეთს შეუმოწმებენ „ვიტ ჯორჯია" და სოხუმის „დინამო", „სიონი" და გორის „დილა", თბილისის „დინამო" და „თბილისი". თუმცა, ლიდერებს, ფაქტობრივად, აუტსაიდერები ეპაექრებიან და მათი მეტოქეობის შედეგის გამოცნობა, ძნელი არ უნდა იყოს, მაგრამ არ ვიჩქაროთ, შეიძლება სამივემ მოწინავე პოზიციები შეინარჩუნოს, შეიძლება პირიქითაც მოხდეს. ხვალინდელ ტურში ინტრიგის მომცველი და საინტერესო კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. თანაბარძალოვან მეტოქეთა, ერთბაშად, სამი მატჩი გაიმართება. სატურნირო ცხრილში გუნდების ერთმანეთთან სიახლოვის გამო მათ შეხვედრებში ფავორიტების გამოცნობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ფოთში „კოლხეთი" „ბორჯომს" უმასპინძლებს. წინა ტურში ორივემ წააგო, ბორჯომელებს მწვრთნელიც კი შეეცვალათ. ასე რომ, ზედიზედ ორი მატჩის წაგება აბა, რომელს ენდომება.

ალბათ, ტურის მთავარი მატჩი ზესტაფონში გაიმართება. ფეროელები თბილისის „ამერს" მიიღებენ. მასპინძელიც და სტუმარიც ლიდერებთან, საკმაოდ ახლოს იმყოფებიან და მათთვის ახლა, თითოეულ მოპოვებულ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც ზესტაფონურ-თბილისური დაპირისპირება, ალბათ, უშეღავათო ორთაბრძოლაში ჩაივლის. დაძაბული მატჩია მოსალოდნელი თელავში, „კახეთი" „ცხინვალს" მასპინძლობს. სახეცვლილი „ლოკომოტივი" ქუთაისის „ტორპედოს" მიიღებს. ქუთათურები, ისევ აუტსაიდერებში არიან და წინა ტურშიც მძიმე გადასატანი მარცხი იწვნიეს. გუნდი შესამჩნევი სიახლეების მოლოდინშია, თუმცა, ზედიზედ მეორე გასვლითი მატჩის ჩატარება და თანაც მარცხი, ნამდვილად კრიზისის მანიშნებელი იქნება. მაგრამ, „ტორპედოს" ქომაგები პესიმისტურად არ უნდა განეწყონ. დღეს, ახალი გუნდის ფორმირებისას, რკინიგზელებსაც უჭირთ. მოსამზადებელ პერიოდში, საკმაოდ მომძლავრებული ბათუმის „დინამო" სატურნირო ამბიციების დაკმაყოფილებას და ძალის დემონსტრირებას, ალბათ, უპირობო აუტსაიდერ თბილისის „სპარტაკის" სტუმრობისას შეეცდება.

მოკლედ, საინტერესო ტურის და მატჩების მოლოდინში ვართ გულშემატკივრები და ჭირვეულობამ, მარტისა არ იყოს, ხვალინდელი ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილშიც შეიძლება იჩინოს თავი.

## ბავშვთა ფეხბურთი

„ლელოს" წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ მინიფეხბურთში ზურაბ ჟვანიას ხსოვნის ტურნირის შედეგები. ასპარეზობა გაიმართა ორ ასაკობრივ ჯგუფში. 1995 წლიანთა შორის პირველობა არავის დაუთმეს მწვრთნელ კოტე დოლიძის შეგირდებმა – ვაკელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა. სურათზე სწორედ ამ გუნდს და მათ ხელმძღვანელობას ხედავთ ტურნირის ორგანიზატორთან, ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძესთან და ზურაბ ჟვანიას ძმასთან ერთად.

ქვედა სურათზე – 1995-წლიანებში მესამე პრიზიორი „გლდანი 39"

ფოტოები რობერტ ბაგოიანისა.





## პირველი ლიგა, XVIII ტური, 4 მარტი

მერანი — ვიტ ჯორჯია 1-2
მეშახტე — მესხეთი (გადაიდო და 19 მარტს ჩატარდება).
ამერი2 — ლიახვი 3-0
იმედი — ზუგდიდი 0-1
მალაროელი — დინამო2 (თბ) 0-0
რუსთავი — თბილისი2 0-0
გაგრა — მეშაქრე 2-1
გურია — საგარეჯო 2-0
ჩიხურა — ზესტაფონი2 1-1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 19 | 14 | 3 | 2 | 56-21 | 45 |
| მერანი | 19 | 12 | 3 | 4 | 29-13 | 39 |
| გაგრა | 19 | 11 | 5 | 3 | 27-14 | 38 |
| ამერი2 | 19 | 11 | 3 | 5 | 28-14 | 36 |
| დინამო2 | 19 | 10 | 5 | 4 | 31-11 | 35 |
| მეშაქრე | 19 | 9 | 3 | 7 | 30-20 | 30 |
| რუსთავი | 19 | 8 | 6 | 5 | 28-19 | 30 |
| მესხეთი | 18 | 8 | 5 | 5 | 25-20 | 29 |
| გურია | 19 | 8 | 4 | 7 | 29-22 | 28 |
| მეშახტე | 18 | 6 | 7 | 5 | 19-13 | 25 |
| ვიტ ჯორჯია2 | 19 | 6 | 5 | 8 | 16-21 | 23 |
| ზუგდიდი | 19 | 6 | 5 | 8 | 8-15 | 23 |
| საგარეჯო | 19 | 6 | 3 | 10 | 17-22 | 21 |
| თბილისი2 | 19 | 5 | 5 | 9 | 19-29 | 20 |
| იმედი | 19 | 5 | 1 | 13 | 14-38 | 16 |
| ზესტაფონი 2 | 19 | 4 | 3 | 12 | 15-35 | 15 |
| მალაროელი | 19 | 3 | 4 | 12 | 14-41 | 13 |
| ლიახვი | 19 | 3 | 0 | 16 | 15-52 | 9 |



## ასე აღარ შეიძლება...



*საქართველოს, ფაქტობრივად, ეროვნული ნაკრების უსახელო ასპარეზობამ მალტის საერთაშორისო ტურნირში, შესაბამისი უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია საფეხბურთო წრეშიც და საზოგადოებრიობაშიც. იმედგაცრუებულნი არიან ქომაგებიც. მწვავე იყო აქამდე თავშეკავებული ნაკრების გერმანელი თავკაცის კლაუს ტოპმიოლერის გამონათქვამებიც.*

„ეროვნულ გუნდში პატრიოტები უნდა თამაშობდნენ, თქვენ უნდა დაიცვათ ქვეყნის დროშა და ღირსება". — განუცხადა ფეხბურთელებს მწვრთნელმა. ნაკრები, აშკარად მოდუნებულია, არ იგრძნობა თავის გამოჩენის ელემენტარული სურვილიც კი. ოსტატობის დაბალ დონეს, თან ერთვის სრული აპათია. და შედეგიც ლოგიკური და გულისმომკლელია. ყოველივეს ისიც დაერთო, რომ ნაკრების ოპტიმალური შემადგენლობა ვერაფრით შეიკრიბა. „ზოგს ტრავმა აქვს. ზოგს — სავიზო პრობლემები. ძლიერ ნაკრებზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როდესაც გუნდში საუკეთესო ფეხბურთელები შეიკრიბებიან. როდესაც გულიანად ითამაშებენ, ბოლომდე დაიხარჯებიან და ერთი მიზნით, ქვეყნის ღირსების დაცვის სურვილით გავლენ მინდორზე" — თქვა ტომპიოლერმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას. ნათელია, ძნელი და მძიმე მუშაობა მოუწევს საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა გერმანულ შტაბს, რათა ვითარება დროულად გამოსწორდეს. ნაკრებში ძირეული, კარდინალური ცვლილებები რომ უნდა განხორციელდეს, თვალსაჩინოა. სხვებიც გამოიცდებიან და ვნახოთ. უარყოფითი შედეგების მიუხედავად, მალტის ტურნირს დადებითი მუხტიც აქვს. ყველამ, ვისაც ეს ეხება, კარგად დაინახა, რა უნდა შეცვალოს და გამოასწოროს ნაკრებში. „ჩვენი მთავარი ამოცანაა ახალგაზრდობა ნაკრების ძირითად ბირთვთან შევათამაშოთ. ჯერჯერობით დაკვირვება და ტესტირება ხორციელდება" — განმარტა მწვრთნელმა.

**მალტის ტურნირი. 2006**
**27 თებერვალი, ლა ვალეტა. ტა ქალი. 300 მაყურებელი.**
**მოლდოვა 5:1 საქართველო**

1:0, 2:0 ზისლისი (5,13), 2:1 ცქიტიშვილი (183), 3:1 ალექსეევი (48), 4:1 ნამასკო (55 3), 5:1 გოლოვატენკო (72).

**მოლდოვა:** სტ. ნამასკო, ბულგარი, ზოლტანაჩი, გოლოვატენკო, ბოლოგამი, სერ, ნამასკო, რუდაკი, სუვოროვი, ზმეუ (ბერეგიჩი 77), ზისლისი (იაპალაუ 83), ალექსეევი.

**საქართველო:** თევდორაძე, ღვინიანიძე, მახარაძე, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, ბენაშვილი (მჭედლიშვილი 58), კანკავა (კობიაშვილი 46), ასათიანი, ჭელიძე (რ. გოცირიძე 65), დ. მუჯირი, ბ. გოცირიძე (მარცვალაძე 46).

**გაფრთხილება:** მუჯირი (43).

**გაძევება:** ხიზანიშვილი (55), ასათიანი (87).

**I მარტი. ლა ვალეტა. „ტა ქალი". 2 000 მაყურებელი.**
**მალტა 0:2 საქართველო**

0:1 მარცვალაძე (9), 0:2 კანკავა (17)

**მალტა:** ჰაბერი, სიანტარი, აზოპარდი, ბრიფა, დიმეჩი, აგიუსი, მატოქსი (კოენი 46), მიფსუდი, ველმანი, გალია, კამეზული (ბარბარა 46).

**საქართველო:** რევიშვილი, მჭედლიშვილი (ბუალავა 55), ღვინიანიძე, ცქიტიშვილი, გ. ფოფხაძე, კანკავა, განუგრავა, კობიაშვილი, დ. მუჯირი (კ. მახარაძე 61), რ. გოცირიძე (გ. ნუგ. ჭელიძე 82), მარცვალაძე.

**გაფრთხილება:** ფოფხაძე (35), კანკავა (48), კობიაშვილი (57), კანკავა (58), აგიუსი (61), მახარაძე (66), რევიშვილი (72).

**გაძევება:** კანკავა (58)

**მსაჯი:** ვ. ბანარი (მოლდოვა).

მოლდავეთის ნაკრებთან სამარცხვინოდ „ჩაგდებული" მატჩის შემდეგ ქართველთა გერმანელი თავკაცის მკაცრმა გამონათქვამებმა ნაკრებზე დადებითად იმოქმედა. ჩვენებურებმა მასპინძელ მალტის ნაკრებთან გაცილებით უკეთ ითამაშეს, პასუხისმგებლობით მოეკიდნენ საქმეს და გაიმარჯვეს 2-0. მალტის საერთაშორისო ტურნირი მოლდაველებმა მოიგეს, ქართველები მეორე ადგილს დასჯერდნენ. კუნძულზე ჩატარებულმა მატჩებმა ბევრი ხარვეზი გამოაჩინა, სანუგეშო ის არის, რომ სისუსტეების გამოსწორებისთვის, ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბებისთვის, დრო კიდევ არის. მომდევნო ამხანაგურ მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრები 22 მარტს ჩაატარებს ალბანეთის ნაკრებთან ტირანაში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდოვა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-5 | 3 |
| მალტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

## კალენდარი გადავადდა

უკრაინელთა ჭირვეულობას აყოლილი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის B ჯგუფის წევრებისთვის უეფას კალენდარი გუშინ უნდა შეედგინა, მაგრამ ევროპული ფეხბურთის ჩინოსნებმა ეს პროცესი კიდევ ერთი კვირით გადადეს. უეფა კალენდარს 9 მარტს შეგვიდგენს და დაგვიმტკიცებს. სტანდარტულ კალენდარს მონაწილეთა ხელახალი დანომვრის და რიგრიგობით დაწყვილების წესით შეადგენენ. შვეიცარიის ქალაქ ნიონში კენჭისყრის პროცედურას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი დაესწრება.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს წარსულში თბილისის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელს მიშა ჯოჯუას ძმის, ვეტერანი ფეხბურთელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ

შოთა ჯოჯუას

გარდაცვალების გამო.
პანაშვიდი 5,6 03. 17 სთ; გამოსვენება 7.03 15 საათზე.
მისამართი: ა.წერეთლის, 73, კორპ VI

საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფესიული კავშირი სამძიმარს უცხადებს მიშა ჯოჯუას ძმის

შოთა ჯოჯუას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს მიხეილ ჯოჯუას ძმის

შოთა ჯოჯუას

გარდაცვალების გამო.

## საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**XXVI ტური**
ბერმუხა — სოხუმი 7-8
საბურთალო — იმედი 16-5
ნიკორა — იბერია 2-3
აჭარა — ცენტრპოინტი 0-3

**XXVII ტური**
ნიკორა — საბურთალო 3-10
იბერია — სოხუმი 15-1
აჭარა — ქართლი 0-3
ცენტრპოინტი — ბერმუხა 8-7

**XXVIII ტური**
სოხუმი — საბურთალო 4-11
ქართლი — ნიკორა 3-0
აჭარა — იმედი 0-3
იბერია — ბერმუხა 8-1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპოინტი | 27 | 24 | 1 | 2 | 234-106 | 73 |
| იბერია | 28 | 23 | 2 | 3 | 186-85 | 71 |
| საბურთალო | 28 | 18 | 4 | 6 | 230-154 | 58 |
| ნიკორა | 28 | 17 | 0 | 11 | 136-116 | 51 |
| ბერმუხა | 28 | 12 | 2 | 14 | 163-171 | 38 |
| აჭარა | 27 | 9 | 1 | 17 | 134-178 | 28 |
| ქართლი | 27 | 6 | 3 | 18 | 115-181 | 21 |
| იმედი | 27 | 6 | 1 | 20 | 116-179 | 19 |
| სოხუმი | 28 | 1 | 2 | 25 | 126-271 | 5 |

ფეხბურთის ამბები

# სენსაციები ამხანაგურად

ოთხშაბათი სანაკრებო დონეზე საერთაშორისო ამხანაგური მატჩების დღე იყო. ბევრი შეხვედრა მოულოდნელი შედეგით დასრულდა. მთავარი სენსაცია პარიზში მოხდა, სადაც საფრანგეთის ნაკრები 1-2 დამარცხდა სლოვაკეთის გუნდთან. უგოლოდ დასრულებული პირველი ნახევრის შემდეგ, კერძოდ, 61-ე წუთზე სლოვაკი ფეხბურთელები დაწინაურდნენ ნემეტის მიერ გატანილი ბურთის წყალობით. მართალია, 13 წუთში ვილტორმა თერთმეტმეტრიანით აღადგინა წონასწორობა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მასპინძლებმა ისევ გაუშვეს ბურთი, რომლის ავტორი ვალახოვიჩი იყო.



**ამ შეხვედრაში საფრანგეთის ნაკრები შემდეგი შემადგენლობით თამაშობდა:**

ბარტეზი, ბუმსონგი, სანიოლი, სილვესტრი (აბიდალი, 62), ტურამი, დორასო, დიარა, ვიეირა, ზიდანი (მალუდა, 46), ანელკა (ვილტორი, 74), ტრეზეგე (ანრი, 46).

იტალიელებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს გერმანიის ნაკრებთან შინაო შეხვედრაში — 4-1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ჯილარდინომ, ტონიმ, დე როსიმ, და დელ პიერომ. ერთადერთი საპასუხო ბურთის ავტორი ჰუთია.

**გუნდების შემადგენლობა:**

**იტალია:** ბუფონი, ძაკარდო, ნესტა (მატერაცი, 80), კანავარო, გროსი, კამორანეზი (პასკუალო, 89), პირლო (ბარონე, 74), დეროსი, დელ პიერო (იაკუინტა, 80), ტონი, ჯილარდინო (პეროტა, 64).

**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, მერტესაკერი (მეტელდერი, 46), ჰუთი, ლამი, დაისლერი, ფრინგსი (ბოროვსკი, 68), ბალაკი, შნაიდერი (შვაინშტაიგერი, 68), კლოზე, პოდოლსკი (ასამოა, 46).



ესპანეთის ნაკრები საკუთარ მოედანზე ორჯერ აგებდა კოტ დივუარის გუნდთან (0-1, 1-2), მაგრამ ბოლო წუთებზე მაინც მოახერხა სასურველი შედეგის მიღწევა. ესპანელმა ფეხბურთელებმა 3-2 იმარჯვეს.

**ესპანეთი:** კასილიასი, რამოსი, იბანიესი. (ხუანიტო,80), ანტონიო ლოპესი, პუიოლი (მიჩელ სალგადო, 46), ფაბრეგასი, ალბელდა (მორიენტესი, 69), ჩაბი ალონსო (სენა, 59), ლუის გარსია (ხოაკინი, 46), ფერნანდო ტირესი (რილესი, 66), ვილია.

ასევე ინგლისის ნაკრებმა ბოლო მომენტში მოახერხა გარდატეხის შეტანა საკუთარ მოედანზე ურუგვაელებთან შეხვედრაში და გამარჯვების მოპოვება ანგარიშით 2-1. არადა, 75-ე წუთამდე სვენ-გორან ერიქსონის გუნდი 0-1 აგებდა... ინგლისელთაგან ბურთები კრაუჩმა და ჯო კოულმა გაიტანეს.

**ინგლისი.** რობინსონი, ბრიჯი (კარაგერი, 30), ფერდინანდი, ტერი (კინგი, 46), გარი ნევილი, ბექჰემი (რაიტ-ფილიპსი, 64), კერიკი, ჯო კოული, ჯერარდი (ჯენასი, 46), ბენტი (დეფო, 82), რუნი (კრაუჩი, 64).

მსოფლიო ჩემპიონმა ბრაზილიის ნაკრებმა მოსკოვში მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია რუსეთის გუნდს. ეს ერთადერთი ბურთი შეხვედრის მე-15 წუთზე რონალდომ გაიტანა.

**ბრაზილია:** როჟერიუ. რობერტო კარლოსი (ნერი, 63), სისინიო, ლუსიო, ჟუანი (კრისი, 46), ემერსონი (ჟილბერტი, 73), კაკა (პერნამბუკანო, 73), რიკარდინიო (ედმილსონი, 46), ზე რობერტო, ადრიანო, რონალდო (ფრედი, 64).

პორტუგალიელებმა საუდის არაბეთის ნაკრები გაანადგურეს — 3-0. ბურთები გაიტანეს რონალდომ (ორჯერ), და მანიშემ.

**პორტუგალია:** რიკარდო, ჟორჟე ანდრადე (პაოლე ფერეირა, 74), რიკარდო ფერნანდო მეირა, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, დეკუ (კოშტიკა, 46), ფიგუ (კუარეშმა, 46), მანიშე (პეტიტი, 46), რონალდო, პაულეტა (ეგო ვიანა, 46).

**სხვა შეხვედრები:** კვიპროსი — სომხეთი 2-0, საბერძნეთი — ყაზახეთი 2-0, ისრაელი —დანია 0-2, ირანი — კოსტა რიკა 3-2, კორეა — ანგოლა 1-0, სლოვენია — რუმინეთი 0-2,



მაკედონია — ბულგარეთი 0-1, ალბანეთი — ლიტვა 1-2, სენეგალი — ნორვეგია 2-1, თურქეთი — ჩეხეთი 2-2, ტუნისი — სერბეთი 0-1, პოლონეთი — აშშ 0-1, არგენტინა — ხორვატია 2-3, ავსტრია — კანადა 0-2, ჰოლანდია — ეკვადორი 1-0, ირლანდია — შვედეთი 3-0, ჩრდ. ირლანდია — ესტონეთი 1-0, შოტლანდია — შვეიცარია 1-3, უელსი — პარაგვაი 0-0, ლუქსემბურგი — ბელგია (შეწყდა).

# ფლორენტინო პერესი: „ჩემი წასვლით მინდა ვარსკვლავებს შევახსენო, რომ მთავარი მცნება მადრიდის „რეალია"



ცნობილია, რომ რამდენიმე დღის წინ მადრიდის „რეალის" პრეზიდენტის პოსტი დატოვა ფლორენტინო პერესმა, რომელმაც გუნდთან ერთად, წლების განმავლობაში განიცადა აღმასვლა და დაცემა.

2000 წლის ივნისში პერესმა მადრიდის „რეალის" პრეზიდენტობისათვის ბრძოლა მოიგო და ამ პოსტზე თითქმის ექვსი წელი იმუშავა. ის იძულებული შეიქნა დაეტოვებინა „სამეფო კლუბი" მას შემდეგ, რაც გუნდმა ჯერ უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ შეხვედრაში, საკუთარ მოედანზე „არსენალთან" დამარცხდა, ხოლო შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში აუტსაიდერ „მალიორკასთან" წააგო...

— სწორედ, „მალიორკასთან" დამარცხებამ გადამაწყვეტინა პოსტის დატოვება. დარწმუნებული ვარ, სწორი ნაბიჯი გადავდგი. ვიმედოვნებ,რომ ჩემი წასვლა დადებითად იმოქმედებს „რეალზე" , რომელიც დღეს ნამდვილად არ დგას სწორ გზაზე. — თქვა პერესმა,— ჩვენ შევქმენით ბრწყინვალე გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები არიან. ზოგიერთმა მათგანმა მთავარი მცნება დაივიწყა. ჩემი წასვლით მინდა მათ შევახსენო, რომ ერთადერთი მთავარი — მადრიდის „ რეალია" .

პერესის გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო გუნდის მწვრთნელისათვის ხუან რამონ ლოპეს კაროსათვის.

— არ მეგონა, თუ ფლორენტინო პერესი ასეთ ნაბიჯს გადადგამდა. ჩვენ გულდაწყვეტილები ვართ , არა „მალიორკასთან" დამარცხების გამო... ჩვენ თვითონვე შევქმენით დღევანდელი სიტუაცია,— თქვა კარომ.

ესპანური პრესა არაერთგვაროვნად გამოეხმაურა იმასაც, რომ მართვის სადავეები პერესმა გადაულოცა თავის მარჯვენა ხელს , 58 წლის ფერნანდო მარტინ ალვარესს.

გაოცებული დარჩა ბრაზილიელი ვარსკვლავი რონალდო . მან განაცხადა:

— გული დამწყდა, რომ პერესი წავიდა. ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყოველთვის მიცავდა... „რეალი" დიდმა პრეზიდენტმა დატოვა.

დევიდ ბექჰემი: — მე მადლობა მინდა გადავუხადო პერესს, რომლის წყალობითაც მოვხვდი მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში. ის მეტად ჭკვიანი ადამიანია, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „სამეფო კლუბის" განვითარებაში". ის ნამდვილად იმსახურებს თბილ სიტყვებს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ „რეალს" მარტინი 18 თვის განმავლობაში უხელმძღვანელებს, 2007 წლის ზაფხულში კი „სამეფო კლუბის" ახალი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება.

— მინდა წარმატება ვუსურვო მარტინს საქმიანობაში. მჯერა, ის საქმეს თავს გაართმევს ისე კარგად, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში არცთუ ცუდი კანდიდატი იქნება— ამბობს პერესი.

ყოფილი პრეზიდენტის მუშაობის პერიოდში „რეალმა" ფეხბურთის ბევრი ვარსკვლავი შეიძინა. — ყველაფერი დაიწყო ბარსელონასაგან ლუიშ ფიგუს ყიდვით. თავის სადებიუტო სეზონში პერესმა გუნდს ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. იქიდან მოყოლებული, „რეალმა" ერთი სერიოზული ტურნირიც ვერ მოიგო. იცვლებოდნენ მწვრთნელები: ვისენტე დელ ბოსკე, კარლუშ კეიროში, ხოსე ანტონიო კამაჩო, მარიანო გარსია რემონე, ვანდერლეი ლუშემბურგუ... ახლა გუნდს კარო თავკაცობს და ჯერჯერობით კვლავ ეჭვქვეშაა რომელიმე ტიტულის მოპოვების საკითხი. „რეალმა" დღევანდელი გადასახედიდან კიდევ ერთხელ გაუცრუა იმედი გულშემატკივრებს. რა იქნება შემდეგ?

# სკოლარის მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატების მიღწევის სჯერა

ამ ზაფხულს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიო პირველობაზე ჩემპიონის ტიტულს დაიცავს. იგივეს აპირებს ბრაზილიელთათვის ოქროს მედლების მომტანი მწვრთნელი ლუის ფელიპე სკოლარი, ოღონდ, პორტუგალიის ნაკრების თავკაცის როლში. შეგახსენებთ, რომ სკოლარის ხელმძღვანელობით პორტუგალიის ნაკრებმა ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის ფინალამდე მიაღწია, სადაც დამარცხდა საბერძნეთის გუნდთან.

მწვრთნელს სჯერა, რომ მის შეგირდებს შეუძლიათ, მოიპოვონ უძლიერესის ტიტული გერმანიაში.

ლუის ფელიპე სკოლარიმ პორტუგალიის ნაკრები 2003 წელს ჩაიბარა. ამ ფაქტს ქვეყანაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა: პორტუგალიელებმა მტკივნეულად მიიღეს ეროვნული ნაკრების სათავეში უცხოელი სპეციალისტის დანიშვნა.

ერთი წლის შემდეგ პორტუგალიამ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა და სკოლარიმ ოპონენტები გააჩუმა: ფინალისაკენ მიმავალ გზაზე მისმა შეგირდებმა ჩამოიცილეს ესპანეთის, ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებები. ასეთი წარმატების შემდეგ სკოლარის კონტრაქტი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ბოლომდე გაუგრძელეს. ამ ტურნირის მთელი შესარჩევი ციკლი პორტუგალიის ნაკრებმა, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით გაიარა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური დამსახურებულად მოიპოვა. ახლა პორტუგალიელები დასკვნითი შეჯიბრებისათვის ემზადებიან. გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდა ლუიშ ფიგუთი, რომელმაც ადრე სანაკრებო კარიერის დასრულება გადაწყვიტა და 11 თვის განმავლობაში არ მოურგია პორტუგალიის ნაკრების ფორმა, თუმცა, შემდეგ დაბრუნდა.



თავის დროზე, 1966 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, პორტუგალიის ნაკრებმა ჯგუფური ეტაპი გადალახა და სკოლარის ახლა ამ შედეგის გაუმჯობესებით ისტორიაში შესვლა სურს, მეტიც, ფიქრობს, რომ ფინალშიც შეიძლება გასვლა.

„პროგრამა-მინიმუმი მეოთხედფინალში გასვლაა. თუ ეს შევძელით, შემდეგ უფრო მაღალი შედეგის მიღწევაზე ვიფიქრებთ." - ამბობს ლუის ფელიპე სკოლარი.

მართლაც, სკოლარის განკარგულებაშია გუნდი, რომელმაც ამ ზაფხულს შეიძლება გააოცოს საფეხბურთო სამყარო. შემადგენლობაში ბრწყინავენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ფიგუ, კრისტიან რონალდო, პაულეტა... ამ უკანასკნელმა ნაკრების შემადგენლობაში გატანილი ბურთების რაოდენობის მხრივ უკვე გადააჭარბა ლეგენდარული ეუსებიოს მიღწევას.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, პორტუგალიელებს ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ, - გუნდი, შეიძლება ითქვას, იოლ ჯგუფში მოხვდა - მეტოქეები არიან ანგოლის, ირანისა და მექსიკის გუნდები. სკოლარი მაინც ფხიზლობს: „მე მომწონს, როცა ჯგუფში თანაბარი ძალის გუნდები არიან. ამ შემთხვევაში მაინც ფხიზლად უნდა ვიყოთ."

თავის დროზე სკოლარი ბრაზილიის ნაკრებს 3-5-2 სისტემით ათამაშებდა, რამაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. მსგავსი ტაქტიკით პორტუგალიის ნაკრების ათამაშებაც სცადა, მაგრამ მიხვდა, რომ თავად უნდა გაევლო ადაპტაცია ამ ევროპულ ქვეყანაში.

„პორტუგალიაში ფეხბურთელები საქმეს სხვაგვარად უდგებიან, აქ ბრაზილიისაგან სრულიად განსხვავებული ქვეყანაა, ამასთან, სხვაა სათამაშო კულტურა და სტილი. პორტუგალიაში სრულიად სხვა სტილით ვმუშაობ." - ამბობს სკოლარი.

ეს სპეციალისტი რომ კარგად შეეთვისა პორტუგალიურ სტილს, ხშირად ჩანს ამ ქვეყნის ნაკრების მონაწილეობით გამართულ შეხვედრებში. სკოლარის არაერთხელ მიუღია სწორი გადაწყვეტილება, რის შედეგადაც წარმატებისათვის მიუღწევია. ასე მაგალითად, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში პორტუგალიის ნაკრები 0-1 აგებდა ინგლისის გუნდთან. 75-ე წუთზე სკოლარიმ ბრძოლაში ჩართო ელდერა პოშტიგა, რომელმაც მწვრთნელის ნდობა გაამართლა. ამ ფეხბურთელმა ანგარიში გაათანაბრა... საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა, სადაც პოშტიგა და მისი თანაგუნდელები უფრო ზუსტნი აღმოჩნდნენ.

საქმისადმი ასეთი მიდგომით, სკოლარიმ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. იქნებ, იგივე პორტუგალიის ნაკრებთან ერთადაც მოახერხოს.

# ბექჰემმა სასკოლო მათემატიკური ამოცანა ვერ ამოხსნა



მადრიდის „რეალის" ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი საგონებელში ჩააგდო თავისი 6 წლის შვილის ბრუკლინის საშინაო დავალებამ მათემატიკაში. თავად რომ ვერ ამოხსნა მათემატიკური ამოცანა, დასახმარებლად მიმართა მეუღლეს ვიქტორიას.

„ბოლო პერიოდში სასკოლო პროგრამაში საკმაოდ რთული საშინაო დავალებები შემოიღეს. მე რომ სკოლის მოსწავლე ვიყავი, სრულიად სხვა ტიპის პროგრამებს გავდიოდით", — ამბობს ბექჰემი.

ბრუკლინი მადრიდის პრივილეგიურ კოლეჯ „რანიმედაში" სწავლობს. ეს ყველაზე ძვირად ღირებული სასწავლებელია ესპანეთში. თითოეული სემესტრისათვის მოსწავლეთა მშობლები 1300 ფუნტს იხდიან. ამ სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა დიპლომატებისა და ბიზნესმენთა შვილები არიან.

მულტიმილიონერმა დევიდ ბექჰემმა მათემატიკური ამოცანის ვერამოხსნით უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი. მან თავის შვილს შესთავაზა ლიტერატურის უფრო ღრმად შესწავლა.



# კოლინა კომენტატორი?

ყოფილი საფეხბურთო არბიტრი პიერ ლუიჯი კოლინა: კომენტატორად იმუშავებს მსოფლიო ჩემპიონატის დროს ტელეკომპანია „სკაის" არხზე.

„მე კომენტარს გავუკეთებ საფეხბურთო მატჩებს ისევე, როგორც ვსჯიდი. იმ განსხვავებით, რომ რასაც დავინახავ, იმას ხმამაღლა ვიტყვი. მე არ შევაფასებ ჩემი კოლეგების მუშაობას, ამის შესახებ სპეციალურად მთხოვა ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ," — თქვა კოლინამ.

# ნბა



## „ატლანტამ“ „ტორონტოს“ სძლია

გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

ოთხშაბათს „ლეიკერსმა“ 102:87 დაამარცხა „ორლანდო“. გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანი კობი ბრაიანტი იყო 28 მოპოვებული ქულით.

„სიეტლმა“ 10 ქულის სხვაობით 114:104 დაამარცხა „ნიუ-ორლეანი“, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ალენს. ამ კალათბურთელმა 33 ქულა მოაგროვა. „ფილადელფიამ“ 106:101 დაამარცხა „ჰიუსტონი“. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში ბრწყინავდა აივერსონი, რომელმაც 40 ქულა მოაგროვა, 7-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და 10 შედეგიანი გადაცემა შეასრულა.

„ფინიქსმა“ 123:110 დაამარცხა „მილუოკი“, რაც მერიონის დიდებული თამაშის წყალობით მოხდა. მერიონმა 29 ქულა მოაგროვა და 18-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ სტუმრად იმარჯვა „ტორონტოსთან“. ქართველი კალათბურთელის ანგარიშზე 17 ქულაა. მასზე მეტი — 26-26 ქულა მოაგროვეს ჰარინგტონმა და ჯონსონმა.

**სხვა შეხვედრები:** „კლივლენდი“ — „საკრამენტო“ 90:97, „ვაშინგტონი“ — „ინდიანა“ 93:99, „ბოსტონი“ — „მაიამი“ 96:103, „მინესოტა“ — „ნიუ-იორკი“ 101:99, „დენვერი“ — „დეტროიტი“ 98:87, „იუტა“ — „შარლოტა“ 89:104.

გუშინ „ლეიკერსი“ 93:99 დამარცხდა „პორტლენდთან“. „ლეიკერსს“ ვერ უშველა კობი ბრაიანტმა, რომელმაც 35 ქულა მოაგროვა.

## ერთმანეთს პრესკონფერენციაზე დასცხეს

ცნობილია, რომ 6 მაისს ერთმანეთს შეებრძოლებიან პროფესიონალი მოკრივეები, — ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ექსჩემპიონი ოსკარ დე ლა ჰოია და პირველ საშუალო წონაში, ვბც-ის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი რიკარდო მაიორგა.




ამასთან დაკავშირებით ჩიკაგოში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელსაც ორივე მოკრივე ესწრებოდა. ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს მათ შორის ჩხუბი ატყდა. ისინი გააშველეს... დე ლა ჰოიაც და მაიორგაც ერთმანეთს ნოკაუტში გაგზავნით ემუქრებიან.

## ანა კურნიკოვა: „სიმღერა არ შემიძლია“

ყოფილი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა მომავალში გამორიცხავს მომღერლობას. თუმცა, კლიპებში მაინც მიიღებს მონაწილეობას, თუ შესთავაზებენ.

„მე სიმღერა არ შემიძლია. რაც შეეხება ვიდეო კლიპებს, მათში სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას“, — განაცხადა კურნიკოვამ გაზეთ „დეილი სტარისათვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ამასთან ერთად, კურნიკოვამ აღნიშნა, რომ ჩოგბურთის დატოვების შემდეგ გარეგნულად უფრო მიმზიდველი გახდა. „საკუთარი თავი ძალიან მომწონს“. — თქვა მან, — როცა ჩოგბურთს ვთამაშობდი, საკუთარ სხეულზე არცთუ ძალიან ვფიქრობდი, საამისოდ არც მეცალა — მაშინ ხომ 6-8 საათი ვვარჯიშობდი ყოველდღიურად“, — ამბობს რუსული ჩოგბურთის ძველი ვარსკვლავი.

## ედი ირვაინი და პამელა ანდერსონი

წარსულში „ფორმულა 1“-ის ყოფილი პილოტი ედი ირვაინი საზოგადოებაში გამოჩნდა ახალ მეგობართან, ცნობილ მსახიობთან და მოდელთან პამელა ანდერსონთან ერთად. ორიოდე დღის წინ ისინი დააფიქსირეს ლოს-ანჯელესის სასტუმრო „მარმონტში“, სადაც ნომერს ქირაობდნენ. იქ მათ ვახშამი მოაწყვეს უახლოესი მეგობრებისათვის. ერთ-ერთი მეგობრის თქმით, მათ არასოდეს უნახავთ ედი ასეთი ბედნიერი, თურმე პილოტს ლამის მთელი საღამო არ გაუშვია ხელი ანდერსონისათვის და შეყვარებული წყვილის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ.

შეგახსენებთ, რომ ედი ირვაინი წარმატებით არ სარგებლობდა „ფორმულა-1“-ში რამდენიმე წლის წინ, როცა იგი „ფერარის“ ღირსებას იცავდა. ერთ დროს 1993 წელს „ჯორდანთან“ ერთად ასპარეზობდა იაპონიის გრან-პრის გათამაშებაზე, როცა იმ ავადმოსაგონარ მომენტში არ სურდა წინ გაეშვა ლეგენდარული ბრაზილიელი პილოტი აირტონ სენა. სწორედ ამის შემდეგ შეემთხვა ავარია სენას.

## კვიმატი ობიექტივი



საფეხბურთო მატჩი მიმდინარეობს. ერთი გულშემატკივარი მთელი 90 წუთის განმავლობაში გულშემატკივრობდა თავის გუნდს, თან ისე ყვიროდა, მეზობლად მჯდომნი შეწუხდნენ. მსაჯის საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე ყვირილი შეწყდა და გვერდით მჯდომს ჩახრინწული ხმით გადაულაპარაკა.

## სპორტული იუმორი

— იცით, მგონი ხმა დავკარგე.
— ჩემს ყურში მოძებნეთ, იქ დაიკარგებოდა, იყო პასუხი.

☺☺☺

* * *

მწვრთნელი ანუგეშებს დამარცხებულ მოკრივეს:
— არა უშავს, ისე, მესამე რაუნდში შენი მოწინააღმდეგე ძალიან შეაშინე.
— როგორ?
— მას ეგონა, რომ უკვე მკვდარი იყავი.

☺☺☺

* * *

მიხაელ შუმახერი და მიკა ჰაკინენი აფრიკაში მოგზაურობენ, ღამე კარავში გაათიეს. გაიღვიძა დილით ჰაკინენმა და რას ხედავს. კარვის გარშემო დარბის მიხაელი, რომელსაც ლომი მისდევს. ნადირი სადაცაა დაეწევა. ჰაკინენმა შესძახა „მიხაელ, უფრო სწრაფად ირბინე, თორემ დაგეწია.
— დარდი ნუ გაქვს, უკვე ექვსი წრით ჩამომრჩება.

## ყველა ბილეთი გაყიდულია

უკრაინელი მოკრივე ვლადიმერ კლიჩკო, როგორც ცნობილია, 22 აპრილს შეხვდება ამერიკელ კრის ბერგს. ისინი იბრძოლებენ კრივის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ბრძოლა გერმანიის ქალაქ მანჰეინში გაიმართება.

ბილეთების გაყიდვის დაწყებიდან თოთხმეტ საათში აღმოჩნდა, რომ თავისუფალი ადგილები აღარ დარჩა. „კრივის გულშემატკივართა ასეთი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ კრისი პოპულარულია ევროპაშიც“, — განაცხადა ვლადიმერ კლიჩკომ. იგი ბრძოლისათვის მზადებას 5 მარტიდან დაიწყებს მწვრთნელთან ემანუელ სტიუარდთან ერთად.

შეგახსენებთ, რომ კრის ბერდი და ვლადიმერ კლიჩკო მეორედ ხვდებიან ერთმანეთს. 2000 წლის ოქტომბერში უკრაინელმა მოკრივემ ქულებით იმარჯვა და მეტოქეს ჩამოართვა ვბო-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. თუმცა, მოგვიანებით იგი კორის სანდერსთან ბრძოლაში დათმო.

ვლადიმირ კლიჩკოს პროფესიულ რინგზე დღემდე 48 ბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგან 35 მოიგო. რაც შეეხება ბერდს, მას 42 შეხვედრაში 39 გამარჯვება აქვს მოპოვებული.

## ყოფილი ჩემპიონი ჰოსპიტალში მოათავსეს

ვბა-ს ვერსიით მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, გრეგ პეიჯი ლუისვილის ჰოსპიტალში მოათავსეს. მოკრივეს პრობლემები ჰქონია სუნთქვასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ 2001 წელს პეიჯი ნოკაუტში ჩააგდო დეილ კრიუსმა და მას შემდეგ მისი ჯანმრთელობა გაუარესდა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**3 მარტი, პარასკევი**

НТВ плюс спорт. „ჰარმონიის ფორმულა“ (11.25), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ფილადელფია“ — „ნიუ-იორკი“ (12.30), კვირის მიმოხილვა (15.00), აფროსნობა. მოგზაურობა დედამიწის გარშემო (15.45), „მსოფლიო სიჩქარე“ (16.15), კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (16.45), ფრენბურთი. გადაცემა „ექსიექსზე“ (17.35), ტაილანდური კრივი (18.05), „ნოკაუტი“ (19.00), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (19.45), ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში (22.30), „ფარი და ბურთი“ (23.00), სინქრონული ცურვა (23.45). EUROSPORT. ექსტრემალური სპორტი (11.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება ნორვეგიაში (14.00), სნუკერი (15.30), ჩოგბურთი. ატპ-ის ტურნირი არაბეთში (17.00), თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (20.30), ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (21.30), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი კატარში (22.00), მძლეოსნობა. საერთაშორისო ტურნირი საფრანგეთში (23.30), ექსტრემალური სპორტი (3.00).

**4 მარტი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. „მზე“.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ფულემი“ — „არსენალი“ (19.00), „ლივერპული“ — „ჩარლტონი“ (21.15), НТВ плюс спорт. სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება კორეაში (11.25), „ნოკაუტი“ (12.10), ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (12.40), „ბურთი და ფარი“ (13.10) სამთო-სათხილამურო სპორტი. სუპერგიგანტი. ქალები (13.55), ჰოკეი (15.50), „სპორტული გლობუსი“ (19.30), სპორტული ცეკვები (22.30), ფიგურული სრიალი. შოუ „ვარსკვლავები ყინულზე“ (22.15), სინქრონული ცურვა (23.15), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ლოს ანჯელესი“ — „კოლუმბუსი“ (1.00). EUROSPORT. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (11.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00), სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება კორეაში (12.30). თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (13.15), თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასის გათამაშება შვედეთში (14.00), სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის გათამაშება ფინეთში (18.00), თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა (18.45), ჩოგბურთი. ვტა-ს ტურნირი კატარში (21.00), ჩოგბურთი. ატპ-ს ტურნირი (22.00), სნუკერი (23.00), ექსტრემალური სპორტი (2.30), ევროსპორტის ახალი ამბები (3.00).

**5 მარტი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.30), НТВ плюс спорт. ჰოკეი (11.25), სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის გათამაშება (15.25), ფიგურული სრიალი. შოუ „ვარსკვლავები ყინულზე“ (16.15), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ლოს ანჯელესი“ — „კოლუმბუსი“ (17.30), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ჯო ლუისი — ჯო კალზაკე (20.00), წყალში ხტომა. გერმანიის გრან პრის გათამაშება (22.30), ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (0.30), ტაილანდური კრივი (1-25), EUROSPORT. მოტორბოლები. სეზონის მიმოხილვა (7.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. (11.30), თხილამურებით რბენა. მსოფლიო თასი (12.30), სათხილამურო ორჭიდი. (16.15), ველოსპორტი (18.30), სნუკერი (22.00), ევროსპორტის ახალი ამბები (2.30), მძლეოსნობა. ევროპის თასი (2.45).

## კროსვორდი



**თარაზულად:** 2. რაიონი აფხაზეთში, რომელსაც ჰყავდა საფეხბ. გუნდი „მზიური“, 3. ქუთაისში აღზრდილი საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, 8. ვეტერანი ამერიკელი ვაჟი ჩოგბურთელი, 9. წინასწარ მიცემული უპირატესობა, 10. მსოფლიო ჰოკეის რუსი ვარსკვლავი, 15. ესპანეთის საფეხბ. კლუბი, 16. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე ქალი, ელისო... 17. საჭადრაკო ფიგურა, 18. ევერესტზე ამსვლელ ალპინისტთა თავშეყრის ადგილი, 20. ვეტერან ხელბურთელ ფხაკაძის სახელი, 22. ფრანგი ვეტერანი ჩოგბურთელი, 23. მონაკოს ფეხბურთელი, 25. ვეტერანი ქართველი მოფარიკავე, 27. ახლო წარსულში ცნობილი ქართული საკალათბ. გუნდი, 29. უდიდესი სტადიონი მექსიკაში, 30. რიტმული ნაბიჯი, 31. ვეტერანი ქართველი ძიუდოისტი ლერი...

**შვეულად:** 1. იტალიის საფეხბ. კლუბი, 2. ქართველ ვეტერან მოფარიკავე ძმების გვარი, 4. კურნიკოვას სახელი, 5. საქართველოს ეროვნული გმირი, 6. ვეტერანი შოტლანდიელი ფეხბურთელი, დენის... 7. ვეტერანი ინგლისელი ლეგენდარული ფეხბურთელი, 11. ალვირი, ანუ... 12. ლიტვის საფეხბ. კლუბი, 13. წარსულში ცნობილი საბჭოთა მოცურავის პროზუმენშიკოვას სახელი, 14. გერმანიის საფეხბ. კლუბი, 15. პროფესიონალი მოკრივე, რიდიკ... 17. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 19. ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტი, ძიუდოისტი, 21. ტანვარჯიშული ინვენტარი, 24. ლეგენდარული უნგრელი წყალბურთელი, 25. ცნობილი სპორტნაწარმის ფირმა, 26. უბანი თბილისში, რომელსაც ჰყავს ბავშვთა საფეხბ. გუნდი, 28. ფალავნების რაიონი რაჭაში.

მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ

## საჭადრაკო ამოცანა

ი. შუმოვი
„შახმატნოე ობოზრენიე“
(1987 წ.)



შამათი 2 სვლაში

№13-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ეg1! და შამათი გარდაუვალია

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. სიჭინავა, 4. აუტი, 6. კანი, 9. პეკინი, 10. ასტანა, 12. ოდო, 14. ჰერაკლე, 16. დოროხოვი, 18. გონგი, 19. „ალანია“, 22. გაბელია, 24. კვაჭაძე, 26. ნიკე, 27. სიმონიანი, 28. ტაიმი.

**შვეულად:** 1. საპორო, 2. არენა, 3. ალი, 4. აზია, 5. ტბა, 6. კვასხვაძე, 7. ნბა, 8. დოპიო, 11. სარმა, 13. ნინა, 15. რაგულინი, 17. „ალავესი“, 18. „გრაცია“, 20. იასონი, 21. აჭიმი, 23. „აეკი“, 25. ძენი.

## თარიღი

### დაიბადნენ

**3 მარტი**

**ზიკო – (1953)** — ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავი, მსოფლიოს 1983 წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

**ზბიგნევ ბონეკი (1956)** — პოლონელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი.

**4 მარტი**

**ჯიმ კლარკი (1936)** — ინგლისელი პილოტი, „ფორმულა 1“-ის ორგზის გამარჯვებული. კენი დალგლიში (1951) — წარსულში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი. ევროპის ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელი.

**პიერლუიჯი კაზირაგი (1969)** — იტალიელი ფეხბურთელი, „ჩელსის“ ნახევარმცველი.

**იოვან სტანკოვიჩი (1971)** — იუგოსლაველი ფეხბურთელი.

**არიელ ორტეგა (1974)** — არგენტინელი ფეხბურთელი, „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველი.

**5 მარტი**

**ვლადიმირ ბესონოვი (1955)** — წარსულში კიევის „დინამოს“ ფეხბურთელი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com